ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 21 – 22 მაისი, 2016

№119 (7045)

ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნების“ სიაში ნანა კაკაბაძე და დიმიტრი გაბუნიაც იქნებიან?





გვ.2

# ირაკლი ალასანია: „მე და ღარიბაშვილი უნდა დაგვაკავონ“



გვ.4

## „თუ თანხის გაფლანგვა მოხდა“

მე ვითხოვდი, რომ დავეკითხე პროკურატურას, თუმცა არც მე და არც, რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილი არ დაუკითხივართ, რადგან ასე აწყობდა პოლიტიკურად მართულ პროკურატურას



## კვირიკაშვილი: „კოღუაშვილმა დაუფიქრებელი განცხადებებით ყველა რეკორდი მოხსნა“



გვ.4



## დავით ბერძენიშვილი: „ქართულ ოცნებას“ გერმანული მოდელის ეშინია“



გვ.2

## სოსო შატბერაშვილი: „კოღუაშვილმა შოკში ჩაგვაგდო“

გვ.4



„მოვითხოვთ განმარტებებს „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და პაატა ბურჭულაძისაგან“

ISSN 1987-9385

## „პრეზიდენტისთვის ფორუმის არათანმიმდევრული დამოკიდებულება გაუგებარია“



ეკა მიშველაძე: „პრეზიდენტს არ სჭირდება მოწოდება, როგორ მოიქცეს კაბელების საქმესთან დაკავშირებით“

გვ.3

## გია ცაგარეიშვილი: „მარგველაშვილმა კაბელების საქმის პატიმრები უნდა შეიწყალოს“



გვ.3

შორენა მარსაგიშვილი

# დავით ბერძენიშვილი: „ქართულ ოცნებას“ გერმანული მოდელის ეშინია“

**რესპუბლიკელების და მეოცნებეების დაპირისპირება უკვე აშკარა სახეს იღებს. ამჯერად ისინი ერთმანეთს გერმანული საარჩევნო მოდელის გამო დაუპირისპირდნენ. გერმანული მოდელი, „ქართული ოცნების“ გარდა, ყველას მოსწონს. მეოცნებეები ამტკიცებენ, რომ ეს მოდელი საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობაშია.**

მეოცნებეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტში ეს საკითხი მაინც დადგება კენჭისყრაზე. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი იმედოვნებს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად პარლამენტში 76 ხმის მოგროვებას მოახერხებენ.

რესპუბლიკელების ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, ამაში ეჭვი არც მეოცნებეებს ეპარებათ, ამიტომაც არიან შეშინებულები და კონსტიტუციით ცდილობენ თავის გადარჩენას.

დავით ბერძენიშვილი განსაკუთრებით იმით არის გაცეცხლებული,



რომ მეოცნებეებმა ვახტანგ ხმალაძეს კონსტიტუციის ცოდნა დაუწუნეს.

— მათ ახლა გაახსენდათ კონსტიტუცია, რომლის თაობაზეც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ერთი ბწკარიც არ დაუწერიათ. ღიმილის მომგვრელია „ქართული ოცნების“ ცალკეული წარმომადგენლის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ თურმე ვახტანგ ხმალაძემ კონსტიტუცია არ იცის და ირაკლი კობახიძეს სცოდნია კონსტიტუცია. ცოტა სიტყვა გაექცათ და ყველას, უპირველეს ყოვლისა, კორექტულობისკენ მოვუწოდებ, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მისი მტკიცებით, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად პროპორციულობის ეშინია.

— მათ პროპორციულობის შემოტანა ძალიან აშინებთ და გერმანული მოდელი სწორედ იმას ამბობს, რომ, რომელ პარტიასაც რამდენი პროცენტის ნდობა აქვს, პარლამენტში ზუსტად იმის შესაბამისი მანდატი ექნება. დღევანდელი ვითარებით, თუკი პროპორციულ სისტემაში 30%-ის იმედად არიან, მაჟორიტარულ სისტემაში — 80%-ის იმედად და ასე აპირებენ ერთპარტიული უმრავლესობის შექმნას... საარჩევნო სისტემის „გერმანული მოდელი“ ომის შემდგომ გერმანიაში უზადოდ მუშაობს და ჩვენ, კონსტიტუციაში რომ ეტევა, ისეთი მოდელი შევარჩიეთ, — აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

რესპუბლიკელის შენიშვნა გულზე ცუდად მოხვდათ მეოცნებეებს. ეკა ბესელიამ და მანანა კობახიძემ კოლეგას შეუთვალეს, შიში ჩვენთან რა მოსატანიაო.

ეკა ბესელიას განმარტებით, „ქართულ ოცნებაში“ საერთოდ არ იციან, შიში რა არის.

— როდესაც იურისტები დავობენ, არ არსებობს ერთი უდავო ჭეშმარიტება. ეს ზოგადად! საერთოდ კი, მეც ვფიქრობ, რომ გერმანული მოდელი კონსტიტუციასთან შეუსაბამობაშია. რაც შეეხება შიშს, შიში ჩვენთან რა მოსატანია?! — განაცხადა ბესელიამ.

შიშიანობა მანანა კობახიძემაც იუკადრისა და მედიას მასზე დაკვირ-





ვების განხორციელებაც სთხოვა.

— შემომხედეთ, ძალიან გაფართოებული მაქვს შიშისგან თვალები? დავიჯერო, ასე გამოიყურება ჩემი თვალები?. — განაცხადა კობახიძემ.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. რესპუბლიკელებს, არასაპარლამენტო ოპოზიციის მსგავსად, სჯერათ, რომ არჩევნები გერმანული მოდელით ჩატარდება.

* * *

გერმანული მოდელის მიხედვით, თუ საარჩევნო სუბიექტი არჩევნებში პროპორციული წესით, პირობითად, ხმების 40%-ს აიღებს, ჯამში, (როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული თვალსაზრისით) მიღებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ამ რიცხვთან.

ანუ ის, თუ რამდენი ადგილი შეხვდება პარტიას პარლამენტში, დიდწილად დამოკიდებული იქნება მის მიერ პროპორციული სისტემით მიღებულ ხმებზე.

# „ქართული ოცნების“ სიაში ნანა კაკაბაძე და დიმიტრი გაბუნიაც იქნებიან?

შორენა მარსაგიშვილი

სახელისუფლებო გუნდი საარჩევნო სიას საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს. თუმცა, თუ



ელისო ჩაფიძეს დავუჯერებთ, სია მზად არჩევნებამდე 40 დღით ადრე იქნება.

მანამდე „ოცნებაში“ ბევრი სკანდალია მოსალოდნელი. პოლიტსაბჭოს ახალი წევრის, დავით კოლუაშვილის ნაციონალების მიმართ სიმპათიების გამომხატველი განცხადების გაკეთებამ, ისედაც არეული სიტუაცია კიდევ უფრო არია.

კოლუაშვილი გიორგი კვირიკაშვილის „კურთხევით“ მოხვდა პოლიტსაბჭოში და ამ ლაფსუსის გამო, კვირიკაშვილს, შესაძლოა, კვოტები შეუმცირონ.

საარჩევნო სიის შედგენაში აქტიურად მონაწილეობს კახა კალაძე-ირაკლი კობახიძის დუეტიც. სწორედ მათი რეკომენდაციით მოხვდა პოლიტსაბჭოში მამუკა მდინარაძე, რომელიც ირაკლი კობახიძის კურსელია.

როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, მდინარაძე სიაში მოსახვედრად რამდენიმე ადამიანს უწევს რეკომენდაციას. ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, ცნობილი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია იყოს.

ამ ინფორმაციას „ქართულ ოცნებაში“ ოფიციალურად არ ადასტურებენ, კერძო საუბრებში კი ამბობენ, რომ გამორიცხული არაფერია. „ახალ თაობას“ ისიც უთხრეს, რომ, შესაძლოა, გაბუნიამ პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტიც კი დაიკავოს.



დაუდასტურებელი ინფორმაციით, სიაში უფლებადამცველი ნანა კაკაბაძის ჩასმის საკითხიც განიხილება.

ამ ეტაპისთვის მაჟორიტარობის რამდენიმე კანდიდატურაც გამოიკვეთა.

დუშეთი-ყაზბეგი-თიანეთის მაჟორიტარად ირაკლი ტრიპოლსკის კანდიდატურა განიხილება, ტყიბული-თერჯოლის მაჟორიტარად — ელისო ჩაფიძე. ფოთში, სავარაუდოდ, ისევ ეკა ბესელიას წარადგენენ, სამტრედიის მოსაგებად კი კალაძეს გაუშვებენ.



# ტელეკომპანია „საქართველოს“ წილებს ყადაღა მოეხსნა

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „საქართველოს“ წილებს ყადაღა მოეხსნა. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ 20 მაისს გაასაჯაროვა.

ტელეკომპანია „საქართველოს“ წილები „რუსთავი 2“-ის საქმის ფარგლებში მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ წინა წელს დააყადაღა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ურთმელიძის მიერ დადებული ვალდებულება მთლიანად მოხსნილია.

„რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, განჩინების დასაბუთებული ნაწილი იურისტებს ჯერ არ ჩაბარებიათ. ის ტელეკომპანიის ადვოკატებს რამდენიმე დღეში ჩაბარდებათ და მაშინ გახდება ცნობილი, რით იხელმძღვანელეს მოსამართლეებმა, როდესაც ყადაღის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღეს.

— ვფიქრობთ, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივად საფუძველი არ ჰქონდა ძალაში დაეტოვებინა ყადაღის შესახებ გადაწყვეტილება. ეს არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა უკანონო გადაწყვეტილება იქნა მიღებული „რუსთავი 2“-ის და მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ. ჩვენ შევეცდებით, რომ ასევე დავასაბუთოთ სასამართლოს წინაშე სხვა განჩინებების უკანონობაც, — განაცხადა „რუსთავი 2“-ის იურისტმა, თამთა მურადაშვილმა.

**მედიანიუსი**

# „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო უახლოეს დღეებში შეიკრიბება



— ქართული ოცნება“ არის ერთი, ძალიან დიდი ენერგიით შეკრული გუნდი, — განაცხადა ამავე პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალმა წევრმა მამუკა მდინარაძემ.

იგი ხაზს უსვამს, რომ „ქართული ოცნება“ ერთი საერთო მიზნისთვის არის გაერთიანებული.

— ეს არის მიზანი, რომ ჩვენი ქვეყანა მოხვდეს ევროპულ ოჯახში. საბოლოო ჯამში, ეს იქნება გარანტია, რომ როგორი ხელისუფალიც არ უნდა მოვიდეს, ვიქნებით იმ გზაზე, რასაც განვითარება და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა ჰქვია, — აღნიშნა პარტიის ახალმა სახემ.

მამუკა მდინარაძის თქმითვე, პარტიის პოლიტსაბჭო უახლოეს დღეებში შეიკრიბება.

**მედიანიუსი**

# ბათუმის შემოგარენში ზიკა ვირუსის გადამტანი კოღო დააფიქსირეს

ბათუმის შემოგარენში ზიკა ვირუსის გადამტანი კოღო დააფიქსირეს. ამის შესახებ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ნიჟარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი ვარაუდით, მწერი სარფიდან ტვირთს შემოჰყვა. ნიჟარაძის განცხადებით, მწერები დაინფიცირებულები არ არიან, დაავადების აღმოცენების საფრთხე არ არსებობს და, შესაბამისად, არც პანიკის საფუძველია.

— ჩვენს რეგიონში ნამდვილად დაფიქსირდა ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო, მაგრამ რეალურად დაავადების გავრცელების საფრთხე არ არსებობს, ვინაიდან უნდა გვყავდეს დაავადებული ადამიანი, საიდანაც ამ სახეობის კოღო შეძლებს ჯანმრთელ ადამიანზე ვირუსის გადატანას. შესაბამისად, არ გვყავს დაავადებული, არა გვაქვს ვირუსი, — განაცხადა ნიჟარაძემ.

აღსანიშნავია, რომ ზიკას ვირუსის პრევენციის მიზნით აჭარაში სადეზინფექციო ღონისძიებები მიმდინარეობს. ხდება ყველა შენობა-ნაგებობისა და სკვერების დეზინფექცია.

როგორც აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში განმარტავენ, ეს არა მხოლოდ ზიკას, არამედ დაავადებების გადამტანი მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებებია და პრევენციისთვის ყოველწლიურად ტარდება.

**ნიუსპრესი**



ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ცაგარეიშვილი: „მარგველაშვილმა კაბელების საქმის პატიმრები უნდა შეიწყალოს“

## „აქციები სხვა დაწესებულებებთანაც გაიმართება“

ნათია ხურცილავა



**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გია ცაგარეიშვილი, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში კაბელების საქმეზე მოვლენების შესაძლო განვითარებაზე საუბრობს.**

***— ბატონო გია, 21 მაისის აქცია რამდენად ხალხმრავალი იქნება?***

— საპროტესტო აქცია მთავარი პროკურატურის შენობის წინ გაიმართება. ეს არ იქნება ხანგრძლივი აქცია, მაგრამ მას ბევრი ადამიანი დაესწრება. ეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია. იმედი არ მაქვს, რომ მთავარი პროკურატურა გონს მოეგება და იქ შეკრებილ საზოგადოებას მოუსმენს, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, პოლიტპატიმრების, უკანონო პატიმრების ინტერესები დავიცვათ. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ პროკურატურასთან გაგვემართა ეს აქცია.

ადგილი სიმბოლურად არის შერჩეული. ჩვენ ვიკრიბებით არა მხოლოდ ამ ხუთი ადამიანის უფლებების დასაცავად, არამედ ყველა იმ ადამიანის უფლებების დასაცავად, რომელთა უფლებებიც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ვერ აღდგა. სამართლიანობის აღდგენის დაპირება წყალს არის გატანებული, უამრავი საქმე თაროზეა შემოდებული. ამის მთავარი ინიციატორები ბატონი შოთაძე და ის ვაიპროკურორები არიან, რომლებითაც პროკურატურა გამოტენილია.

ბევრი მათგანი დანაშაულს ჩადიოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს, სისხლის სამართლის დანაშაულს აყალბებდა. ახლა ეს ადამიანები პროკურატურაში მაღალ თანამდებობებზე არიან მოკალათებულნი და ჩადიან იმავეს, რასაც ადეიშვილის, ზოდელავას ხელმძღვანელობით ჩადიოდნენ. მთავარი პროკურორი ქვეყანაში არჩევითია და წარმოიდგინეთ, რომ მისი არაპროფესიონალიზმის, პოლიტიკური დამოკიდებულების ატანა კიდევ მოგვიწევს.

***— შოთაძემ ეს შეფასება თქვენგან ამ საქმის გამო დაიმსახურა?***

— არა მხოლოდ. ეს ყველაფერი უამრავ საქმეში ჩანს. ჩანს იქიდანაც, რომ მკვდრადშობილი აღმოჩნდა ჩვენი ერთობლივი დაპირება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. ბევრი იმედგაცრუებული ადამიანი მოდის და გვეუბნება, თუ როგორ ვაპირებთ სამართლიანობის აღდგენას.

***— ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ პარტიული ატრიბუტიკა არ იქნება აქციაზე. ეს არის გზავნილი, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი პარტიის პრობლემა?***

— ცხადია. ეს არის გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პრობლემა. ჩვენ არ ჩავიკეტებით მხოლოდ ვიწროპარტიულ ინტერესში. ამ ხუთ ადამიანს ჩვენთან პოლიტიკურად არაფერი აკავშირებს. ისინი არ არიან პარტიის წევრები, ისინი არიან საჯარო მოხელეები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ბატონი კაიშაური 90-იანი წლებიდან მუშაობს თავდაცვის სამინისტროში. კაიშაური ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში იბრძოდა, როდესაც შოთაძე აკვანში ირწეოდა. კაიშაურის მსგავსმა ადამიანებმა მოიტანეს ეს ქვეყანა აქამდე და დღეს შოთაძე, რომელიც ადეიშვილის მისაღებშია გაზრდილი, ნოტაციას გვიკითხავს. ეს ახალგაზრდა საფინანსო პოლიციის უფროსის მოადგილე იყო, როდესაც ნახევარ ბიზნესს ატყავებდნენ საქართველოში, მისი წინამორბედი ბადაშვილი კი უფროსი იყო.

***— რომელ პოლიტიკურ ძალებს ელოდებით აქციაზე? რესპუბლიკელები მივლენ. ფორუმის პოზიცია თუ იცით, ვისგან გაქვთ თანხმობა?***

— არავითარი ურთიერთობა და კონსულტაციები ამ მიმართულებით არ ყოფილა არავისთან. არ ვიცით, ვინ მოვა და ვინ — არა. თუ მოვლენ, მოვიდნენ. ამ დღეებში მათგან მხარდამჭერი მოწოდებები გვესმის, რაც კარგია და ამას ვაფასებთ, მაგრამ პერსონალურად არავის ვიწვევთ, თუ ვინმე თანაზიარი გახდება ჩვენი გასაჭირის, კი ბატონო, გაიზიარონ.

ამ აქციის ორგანიზატორები თავისუფალი დემოკრატები ვართ, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ პარტიული აქტივით არ შემოვიფარგლოთ, რომელიც აქციას, ბუნებრივია, დაესწრება, მაგრამ ჩვენ ველოდებით ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე აღელვებთ.

***— ბატონო გია, თქვენ არ მიპასუხეთ, რამდენ ადამიანს ელოდებით, დიდი აქცია იქნება?***

— საკმაოდ ხალხმრავალი აქცია იქნება. ზუსტ ციფრს ვერ გეტყვით, მაგრამ 3-4 ათასზე მეტი ადამიანი მოვა.

***— მსვლელობა იქნება?***

— არა, პროკურატურის შენობის წინ შევიკრიბებით და მიტინგი გაიმართება, რამდენიმე გამომსვლელი სიტყვით გამოვა. ამ ეტაპისთვის ჩვენ არ ვაპირებთ არავითარ მსვლელობას და ამ ხალხის გადაადგილებას რომელიმე მიმართულებით.

***— თემატური აქციები კიდევ იქნება თუ ერთჯერადი აქციით ამოიწურება?***

— არ იქნება მხოლოდ ერთჯერადი აქცია. თემატური აქციები იქნება, სხვადასხვა დაწესებულების წინ გაიმართება და ეს იქნება მრავალფეროვანი. საუბარია იმ დაწესებულებებზე, რომლებიც ჩართულნი არიან უკანონობის დამკვიდრებაში.

***— ბევრია ასეთი უწყება დღეს?***

— სამწუხაროდ, ბევრია, იუსტიციის საბჭოთი დაწყებული, დამთავრებული საქართველოს მთავრობით. ამდენად, პროტესტი გაგრძელდება. შევეცდებით, კრეატიულები ვიყოთ ჩვენი პროტესტის გამოხატვაში და ამაში ახალგაზრდები დაგვეხმარებიან. გაგრძელდება ბუგიანიშვილის გამოსახულებიანი პოსტერების გამოკვრა, რაც დიდად არ მოეწონათ და დაიწყო პატრულმა ახალგაზრდების დაჯარიმება.

***— ირაკლი შოთაძემ დიპლომატებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ამ საქმემ პოლიტიკური შეფერილობა შეიძინა და ამას ხელი თქვენ შეუწყვეთ.***

— ჩვენ არა, ეს საქმე პოლიტიკურ საქმედ ბიძინა ივანიშვილმა აქცია. პოლიტიკის ნაწილი გახდა ეს საქმე იმ დღიდან, როდესაც მოღალატურად, არაკაცურად თავდაცვის მინისტრს, მთავრობის წევრს ზურგში ლახვარი ჩასცეს, როდესაც ის სამსახურებრივ მივლინებაში იყო საფრანგეთში და მისი ხუთი თანამშრომელი დააკავეს. აქედან ჩაერთო პოლიტიკა ამ პროცესში ძალუმად. ამიტომ ხელების გამოშვერას ჩვენკენ თავი დაანებონ და თავიანთ გულში ჩაიხედონ ბატონმა ივანიშვილმა, ბატონმა ღარიბაშვილმა.

თუ ვინმეს ეგონა, რომ ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს, ალასანიას მივატოვებდით, მივატოვებდით ამ ხუთ ადამიანს და გზაკვალაბნეულები პარტიიდან პარტიაში დავიწყებდით ხეტიალს ან „ქართულ ოცნებას“ მივადგებოდით, კარგად არ სცოდნიათ, ვისთან აქვთ საქმე.

***— რატომ, მოტივი თქვენი დაშლა იყო?***

— რა თქმა უნდა, მიზანი იყო გუნდის დაშლა. ლამობდნენ ამ პოლიტიკური გუნდის განადგურებას, ფიქრობდნენ, რომ ამ საქმით დააცალკევებდნენ ალასანიასა და პარტიას. ეს იყო მთავარი მიზანი, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება.

***— ეროვნულმა ფორუმმა პრეზიდენტს მიმართა, შეიწყალოს დაკავებულები. პრეზიდენტი გამოიყენებს ამ უფლებამოსილებას? როგორი მოლოდინი გაქვთ?***

— ჩვენ არ ვაპირებთ პრეზიდენტზე ზეწოლას, რომ გინდა თუ არა შეიწყალოს. ეს პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა. თუ ის ფიქრობს, რომ ეს ადამიანები პოლიტპატიმრები არიან და ნამდვილად არიან, არა მხოლოდ ჩვენი შეხედულებით, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების აზრით, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. თუ არ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, პროცესი გაგრძელდება და ვნახავთ, სად დასრულდება. წინ არის სასამართლო ინსტანციები, თუმცა მანამდე ვნახოთ, გამოიყენებს თუ არა პრეზიდენტი ამ უფლებას.

***— წინასაარჩევნო კამპანიას, წინასაარჩევნო გარემოს ემთხვევა ეს ყველაფერი. პროცესი კიდევ უფრო დაიძაბება?***

— ეს ჩვენი ბრალი არ არის, ამის მიზეზი ჩვენ არ ვართ. ივანიშვილი, ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი, შოთაძე და მურუსიძე არიან ამ კითხვის ადრესატები. რა თქმა უნდა, დაძაბული იქნება და კიდევ უფრო დავძაბავთ. ამას პირდაპირ გეუბნებით, მაგრამ ეს არ იქნება ხელოვნურად დაძაბული. იქნება მიტინგები, მსვლელობები, მანიფესტაციები, სხვადასხვა პოლიტიკური ღონისძიება, რაც, ცხადია, სიტუაციას დაძაბავს.

აბა, როგორ გგონიათ, პირში წყალს ჩავიგუბებთ და გვერდზე გავიწევით, აქ არაფერიო?! რა ეგონა „ქართულ ოცნებას“, უდანაშაულო ბიჭებს, რომლებიც ქვეყანას ემსახურებოდნენ, ციხეში ჩაყრიდნენ და ჩვენ ვეტყოდით, რა მაგარიაო?! ახლა სხვა ჯარისკაცებიც დავიჭიროთო?! ამ ადამიანებს შეიძლება თავისუფალი დემოკრატების მიყოლებაც უნდათ და სურთ, ეს ქვეყანა ყვარყვარეს ციხედ აქციონ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ.

# როდის მიიღებს საქართველო მაპს

ამერიკული რადიოსადგურის „Радио Голос Америки“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსში ჩერნოგორიის (მონტე-ნეგროს) გაწევრიანების ფონზე (19 მაისს ბრიუსელში ხელი შესაბამის დოკუმენტს მოეწერა) საუბარია საქართველოსა და ნატოს ურთიერთობაზე, საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრირებასა და სამომავლო ამოცანებზე. ამ თვალსაზრისით ციტირებულია ნატოს გენმდივნის იენს სტოლტენბერგის მიერ გუშინ, 19 მაისს გაკეთებული განცხადებები: „ვარშავის სამიტზე ნატო აუცილებლად აღიარებს საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, გამოავლენს პოლიტიკურ მხარდაჭერას... და დაეხმარება საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიზნით“. იმავდროულად პუბლიკაციაში მოხსენიებულია აგრეთვე ნატოს სპეცწარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის მიერ ორი დღის ქართულ ტელეეთერში გაჟღერებული განცხადებაც, რომლის თანახმად, საქართველო ვარშავის სამიტზე ვერც „მაპ“-ს ვერ მიიღებს და მით უმეტეს, ნატოშიც ვერ გაწევრიანდება.

სტატიაში საუბარია აგრეთვე რუსეთის პოზიციაზე: კრემლი კატეგორიულად გამოდის ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების წინააღმდეგ — რუსეთმა ნეგატიური პოზიცია გამოხატა ალიანსში ჩერნოგორიის გაწევრიანების მიმართ, იგივე მსგავსი განცხადებები გაკეთდა უფრო ადრე საქართველოს მიმართაც.

ქართველი პოლიტოლოგები კომენტარს უკეთებენ შექმნილ ვითარებას:

როგორც სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი ამბობს, საქართველოსა და ჩერნოგორიის შედარებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს რუსეთთან ერთობლივი საზღვარი აქვს, ჩერნოგორია კი რუსეთისაგან შორს მდებარეობს. შესაბამისად, თუ ბრიუსელი საქართველოს ნატოში მიღების ზუსტ თარიღს დაადგენს, მაშინ რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის შესაძლებლობა მატულობს. ამიტომაც, ექსპერტის თქმით, ალიანსი საქართველოს გაწევრიანებისაგან თავს იკავებს ძირითადად ორი მიზეზის გამო:

პირველი — რუსეთის დარტყმის ქვეშ უპირველესად თვითონ საქართველო აღმოჩნდება და მეორე — ასეთ შემთხვევაში ალიანსი იძულებული გახდება („მორალური ვალდებულებით მაინც“) საქართველოს მხარი დაუჭიროს, სიტუაციაში ჩაერიოს და დაიცვას.

„ჩერნოგორიის შემთხვევაშიც კი, რუსეთს პრეტენზიები აქვს, მაგრამ ეს ქვეყანა მისგან მაინც შორსაა, რუსეთის ინტერესები ბალკანეთის მიმართულებით ისეთი აღარაა, როგორიც ადრე იყო, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში საკითხი უკვე რუსეთის ტერიტორიასთან ნატოს უშუალო მიახლოებას ეხება, რამაც შეიძლება რუსეთის აგრესიულობის გამწვავება გამოიწვიოს და ეს უპირველესად თვით საქართველოსთვისაა ზიანის მომტანი. რასაკვირველია, ალიანსს არ სურს ახალ კონფლიქტში ჩაერთოს“, — აცხადებს ექსპერტი კახა გოგოლაშვილი.

**ნიუსპრესი**

# „პრეზიდენტისთვის ფორუმის არათანმიმდევრული დამოკიდებულება გაუგებარია“

## ეკა მიშველაძე: „პრეზიდენტს არ სჭირდება მოწოდება, როგორ მოიქცეს კაბელების საქმესთან დაკავშირებით“



20 მაისს პრეზიდენტ მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ პრესკონფერენცია გამართა.

მასზე მან დააფიქსირა პრეზიდენტის პოზიცია ეროვნული ფორუმის ბოლო განცხადებაზე, რომლითაც ფორუმმა პრეზიდენტს კაბელების საქმის მსჯავრდებულების შეწყალებისკენ მოუწოდა.

— გავიხსენებ გუბაზ სანიკიძის განცხადებას მოკლე მეხსიერებასთან დაკავშირებით, რომელიც მან პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლისას აღნიშნა. დიახ, არ უნდა გვქონდეს მოკლე მეხსიერება და ჩვენ ყველას გვახსოვს ეროვნული ფორუმის პოზიციები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს კანონპროექტზე ხმის მიცემა პრეზიდენტის ვეტოებთან დაკავშირებით, რომელთა სისწორეში საზოგადოება არაერთხელ დარწმუნდა. ასევე უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით.

სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, პრეზიდენტს ნამდვილად არ სჭირდება მოწოდება, თუ როგორ მოიქცეს ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

მისივე თქმით, პრეზიდენტისთვის ასევე გაუგებარია, რატომ დაინახა ეროვნულმა ფორუმმა მხოლოდ ახლა პრობლემები სასამართლო სისტემაში, მაშინ, როდესაც ფორუმის წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ მოგვისმენია სრულიად საპირისპირო პოზიციები.

კაბელების საქმეზე საუბრისას ეკა მიშველაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქმის მიმდინარეობას, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე.

— პრეზიდენტი ვერ წაართმევს სასამართლოს მართლმსაჯულების სრულად განხორციელების უფლებას, თუმცა ხედავს რა, რომ კაბელების საქმესთან დაკავშირებით საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს კითხვები, პრეზიდენტი ყურადღებით დააკვირდება პროცესის მიმდინარეობას. პრეზიდენტი არის ქვეყანაში ინსტიტუციების დაცვის გარანტი, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა წლების განმავლობაში, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მარიამ მჭედლიშვილი

# სოსო შატბერაშვილი: „კოლუაშვილმა შოკში ჩაგვაგდო“

## „მოვითხოვთ განმარტებებს „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და პაატა ბურჭულაძისაგან“

**ბოლო დროს გახშირდა საუბრები იმაზე, რომ „ქართული ოცნების" დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებს საერთოდ ჩამოსცილდება. არის ვარაუდი მის საქართველოდან წასვლაზეც. უფრო რადიკალები ამტკიცებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი მზადაა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას გადააბაროს.**

მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამგვარი საუბრები მასაც სმენია. ასეთი ხმების გავრცელებას ხელს უწყობს ბოლოდროინდელი პროცესები.

**სოსო შატბერაშვილი:**

— ასეთი ჭორები მართლაც მუსირებს. დადის ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს ჩამოსცილდეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმაც მითხრა, ბიძინა ივანიშვილს განზრახული აქვს, ხონჩით მიართვას ძალაუფლება ნაციონალებსო. ჩემი აზრით, ამ ხმებს ინტრიგებში გაწაფული ნაციონალური მოძრაობა ავრცელებს. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილმა ეს გააკეთოს, თუმცა, ამ ჭორების გავრცელებას აძლიერებს გარკვეული პროცესები.

***— „ქართული ოცნების“ ახალი ლიდერების განცხადებები ხომ არ გაქვთ მხედველობაში?***

— დიახ. დავით კოლუაშვილმა, რომელიც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრია, გამაოგნებელი განცხადებები გააკეთა. კოლუაშვილის აზრით, ვანო მერაბიშვილი ნიჭიერი კაცია, გიგი უგულავა კი გარეთ უფრო მეტ სარგებლო-



ბას მოუტანს ქვეყანას, ვიდრე ციხეში. ამ სიტყვებმა შოკში ჩაგვაგდო, ამიტომ გუშინ პარტიის თავმჯდომარე კახა ძაგანიამ გაავრცელა განცხადება. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ამ საკითხზე განმარტებები გააკეთონ მმართველი პარტიის პირველმა პირებმა. თუ მეჭიაურისა და მრეწველი თოფაძის ყოველ რეპლიკას ეხმაურებიან, კოლუაშვილის გამოსვლაც განმარტონ!

***— ამ პოზიციაზე, ალბათ, მარტო კოლუაშვილი არ არის.***

— რა თქმა უნდა! „ქართული ოცნება“ სავსეა შეფარული ნაციონალებით.

***— თვითონ კოლუაშვილი ნაციონალებთან არასდროს ყოფილა.***

— დიახ. 2003 წლის 22 ნოემბერს მე დავით კოლუაშვილთან ერთად მომიხდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მონაწილეობა. ჩვენ ორივე მოვუწოდებდით ხალხს, არ აჰყოლოდნენ ე.წ. რევოლუციონერებს, რომლებმაც მალე სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. ახლა დავით კოლუაშვილის პოზიცია ძალიან გაუგებარია, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ დუმილი. დუმილი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ოცნებაში“ მერაბიშვილი და უგულავა პოლიტპატიმრებად მიაჩნიათ, სააკაშვილი კი პოლიტიკურ დევნილად? ჩვენმა პარტიამ პაატა ბურჭულაძისაგანაც მოითხოვა განმარტებები.

***— ამ საკითხზე თუ ნაციონალებთან შესაძ-***

### „ხალხი ბურჭულაძე-ნაცმოძრაობის გაერთიანებას მხარს არ დაუჭერს“

***ლო კავშირებზე?***

— ორივე საკითხზე. თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდებ პაატა ბურჭულაძეს, გვითხრას, მიაჩნია თუ არა მერაბიშვილი და უგულავა პოლიტპატიმრებად. და მეორე, თანამშრომლობს თუ არა ნაციონალებთან? მასთან გაწევრიანებულმა მერაბ მეტრეველმა თქვა, რომ ის ენდობა ბურჭულაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ არც რუსული პროექტია და არც — ნაცმოძრაობის. ეს არაფერს ნიშნავს. სიტყვა შეიძლება ცნობილმა ადამიანმაც გატეხოს.

***— ნაციონალები არც გამორიცხავენ მასთან კოალიციას.***

— თუ ასეა, მით უმეტეს უნდა გააკეთოს განმარტებები პაატა ბურჭულაძემ. როცა ნაციონალებმა ლეიბორისტებთან თანამშრომლობა დაანონსეს, ნათელაშვილი ამას გაემიჯნა. იგი შეკრულია ნაციონალებთან, მაგრამ მათთან ღიად არ თანამშრომლობს. ბურჭულაძე საერთოდ არაფერს ამბობს. ეს ყველაფერი აძლიერებს იმ ეჭვებს, რომლებსაც პირველ კითხვაში შეეხეთ.

ისე, იცოდეს საზოგადოებამ, რომ საქართველოში არიან პარტიები და პოლიტიკოსები, ჩვენი ჩათვლით, რომლებიც ნაცმოძრაობის მობრუნებას არ დაუშვებენ. სასურველია, რომ გავრცელებულ ჭორებზე განმარტებები გააკეთოს ბიძინა ივანიშვილმაც.

***— დავუშვათ, ბურჭულაძის პარტიისა და ნაციონალების გაერთიანება მოხდა. ექნება ამ წარმონაქმნს წარმატების შანსი?***

— არა. ჩვენმა ხალხმა ისედაც ბევრი შეცდომა დაუშვა, ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებით დაწყებული, სხვა მოვლენებით დამთავრებული. დიდი ქარტეხილები გამოვიარეთ. საზოგადოებამ ამ პროცესებში იმხელა გამოცდილება მიიღო, რომ ახალი სერიოზული შეცდომის დაშვება გამორიცხულია. ისე, ნაცმოძრაობის დაბრუნების მოსურნეებს მინდა ვკითხო — დაავიწყდათ ბრძოლის ველიდან გამოქცეული სააკაშვილი? საშინელი საყურებელი იყო, როცა თვითმფრინავის ხმაურზე ფრანგი მინისტრის გაოგნებული სახის ფონზე იგი დაემხო და ფორთხვა დაიწყო. იქვე მდგარი პატარა ბავშვები ამაზე გულიანად იცინოდნენ.

# ირაკლი ალასანია: „მე და ღარიბაშვილი უნდა დაგვაკავონ“

## „თუ თანხის გაფლანგვა მოხდა“



20 მაისს თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ კაბელების საქმეზე ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ ისაუბრა.

— თუ ამტკიცებენ, რომ სადმე მოხდა თანხის გაფლანგვა, მაშინ მე და მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნდა დაგვაკავონ, — განაცხადა მან.

ალასანიას თქმით, თანხა გაფლანგული არ არის, რადგან მას აქვს საბანკო გარანტია და შეიძლება დაიბრუნოს ეს თანხა სახელმწიფომ ნებისმიერ დროს, როცა მოუნდება.

— მაგრამ თუკი ამტკიცებენ, რომ სადმე გაფლანგვა მოხდა, ეს არ არის ამ ბიჭების ბრალი, ეს არის პრემიერ ღარიბაშვილის და ჩემი ბრალი. ჩვენ უნდა დაგვაკავონ მაშინ. მე ვითხოვდი, რომ დავეკითხე პროკურატურას, თუმცა არც მე და არც, რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილი არ დაუკითხივართ, რადგან ასე აწყობდა პოლიტიკურად მართულ პროკურატურას, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე ზვიად ჯანყარაშვილისა და „დელტაკომის“ კავშირზე ისაუბრა.

ალასანიას თქმით, ჯანყარაშვილი შს სამინისტროში „დელტაკომის“ კურატორი იყო.

ირაკლი ალასანიას მტკიცებით, ნაციონალების მიერ მართული „დელტაკომი“ ზვიად ჯანყარაშვილმა გადაიბარა და ამ კომპანიის მიმართ თავისი ინტერესი ჰქონდა.

# კვირიკაშვილი: „კოლუაშვილმა დაუფიქრებელი განცხადებებით ყველა რეკორდი მოხსნა“

— პოლიტსაბჭოს ახალმა წევრმა დავით კოლუაშვილმა ორიოდე დღეში მოხსნა ყველანაირი რეკორდი ძალიან დაუფიქრებელი განცხადებებით.

ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პოლიტსაბჭოს ახალი წევრის, დავით კოლუაშვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის წევრების გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის მისამართით გაკეთებულ განცხადებას.

— დავით კოლუაშვილი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. მას ნამდვილად ვერ დავწამებ, რომ ის რაიმე დადებით სენტენციებს განიცდის სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, თუმცა მინდა ვთქვა: სამწუხაროა, რომ მან ორიოდე დღეში მოხსნა ყველანაირი რეკორდი ძალიან დაუფიქრებელი განცხადებებით.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდის ზოგიერთი წევრი, ყველა ადამიანი, რომლებთან ერთადაც ჩვენ გამარჯვება მოვიპოვეთ, ძალიან გასაფრთხილებელია. მე პირადად ძალიან ვუფრთხილდები, არ გავაკეთო ისეთი განცხადებები, რომ პიროვნულად რაიმე შეურაცხყოფა მივაყენო ან გული ვატკინო ყოფილ თუ დღევანდელ თანაგუნდელებს, — განაცხადა პრემიერმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ დღეს არის განახლების პროცესი, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ ადამიანზე ზრუნვა.

— დავითის ბევრი განცხადება იყო დაუფიქრებელი. რაც შეეხება რაიმე პოზიტიურ გრძნობებს, მე მგონია, რომ ამაზე არის სრული კონსოლიდაცია არა მარტო ჩვენს გუნდში, არამედ მთელ საზოგადოებაში და საზოგადოების შეფასება წინა ხელისუფლების მიმართ არის ერთმნიშვნელოვანი, ამიტომ დავითის ზოგიერთი განცხადება ცოტა კონტექსტიდან ამოგლეჯილი იყო, თუმცა მას მეტი დაფიქრება მართებს, როდესაც ასეთ განცხადებებს აკეთებს, ვინაიდან თითოეული ასეთი განცხადება უკავშირდება არა ერთ ადამიანს საქართველოში, — განაცხადა პრემიერმა.



პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრმა დავით კოლუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას დროს გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა და არ გამორიცხა, რომ ყოფილ მერს ციხეში დიდხანს დარჩენა აღარ მოუხდეს.

# ევროკავშირის საბჭომ უვიზო მიმოსვლის სწრაფი შეჩერების მექანიზმი დაამტკიცა

20 მაისს ევროკავშირის შინაგანი საქმეების საბჭოს გადაწყვეტილებით, მიღებულ იქნა წინადადება უვიზო მიმოსვლის სწრაფი შეჩერების მექანიზმის შესახებ.

მექანიზმი უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ მესამე ქვეყანამ ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული პირობები დაარღვია.

შეჩერების მოქმედების მანამდე არსებული 6 თვიანი ვადა 2 თვემდე შემცირდა, გაიზარდა შეჩერების საფუძვლების არეალი.

ახალი წესის მიხედვით, ევროკომისიას ასევე ეძლევა უფლება შეაჩეროს უვიზო მიმოსვლა ქვეყანასთან, რომელიც არ შეასრულებს რეადმისიით ნაკისრ ვალდებულებებს.

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეწყვეტის საფუძვლად ასევე დასახელებულია უვიზო მიმოსვლით მოსარგებლე პირების მხრიდან 90 დღიანი რეჟიმის მასობრივი გადაცილება და მასობრივი არალეგალური დარჩენა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის მქონე ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან.

როგორც ევროკავშირის საბჭოში განმარტავენ, ამჟამად არსებული რეგულაციით, სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი რთული პროცედურაა. ძველი მექანიზმით, უვიზო მიმოსვლის შეჩერების 6-დან 9 თვემდე დადგენილ პროცედურას ითვალისწინებდა, რაც, ინიციატორი ქვეყნების აზრით, არაგონივრულად ხანგრძლივი პერიოდია. ახალი წესით, შეჩერების მაქსიმალურ ვადად 12 თვე არის განსაზღვრული.

## ჯანელიძე: „საქართველოს ეს პრობლემებს ვერ შეუქმნის“

* * *

— საქართველოს, უკრაინას, კოსოვოსა და თურქეთს აქვთ პოტენციალი, რომ დააკმაყოფილონ ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაგრამ ჩვენ ეს ნათლად უნდა დავინახოთ, — განაცხადა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ნიდერლანდების მიგრაციის მინისტრმა კლაას დიკჰოფმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ვიზალიბერალიზაციის პროცესზე როცა ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ 4 ქვეყანა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს კრიტერიუმების დაკმაყოფილების კუთხით. ეს ოთხი ქვეყანა არის საქართველო, უკრაინა, კოსოვო და თურქეთი.



ჩვენ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ვართ მომთხოვნები, მაგრამ ამავდროულად სამართლიანები. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ეს ქვეყნები შეასრულებენ ყველა კრიტერიუმს ვიზალიბერალიზაციის მისაღებად. ამ ოთხივე ქვეყანას აქვს პოტენციალი, რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნები, მაგრამ ჩვენ ეს ნათლად უნდა დავინახოთ, — განაცხადა კლაას დიკჰოფმა.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე თვლის, რომ ევროკავშირის მხრიდან ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის გადახედვა საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის პროცესს ხელს ვერ შეუშლის.

მისი თქმით, ამ ცვლილებებში განსაკუთრებული სიახლე არაფერია.

— აქ სიახლე არის მხოლოდ მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც არ ეხება მხოლოდ საქართველოს ან ახლანდელ ოთხ ქვეყანას, რომელიც განიხილება ვიზალიბერალიზაციის კუთხით. ეს არის საერთო ცვლილება, რომელიც საერთოდ ევროკავშირის პოლიტიკას ეხება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, — განაცხადა ჯანელიძემ.

* * *

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ შეჩერების მექანიზმის შესახებ რეგულაცია 2013 წლის დეკემბერში მიიღეს.

ამ მექანიზმის თანახმად, როდესაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს 6 თვის განმავლობაში ექმნება გარკვეული სახის პრობლემები, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უკავშირდება და იწვევს საგანგებო სიტუაციას, რომელსაც ქვეყანა თავად ვერ უმკლავდება, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს აქვს უფლება მიმართოს ევროპულ კომისიას თხოვნით, რომ მესამე ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესი დროებით შეაჩეროს.

ასეთ გარემოებებად სახელდება არალეგალი მიგრანტების ნაკადის მკვეთრი ზრდა, თავშესაფრის მიღების დაუსაბუთებელი მოთხოვნები და სხვა ანალოგიური შემთხვევები.

თუ ევროკომისია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მაშინ მესამე ქვეყანასთან უვიზო რეჟიმი 6 თვის ვადით შეჩერდება.

# იარაღი, რომელმაც გაგრა გადაარჩინა

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთის ომი ბევრ საინტერესო ამბავს ინახავს, რომელთა შესახებაც ჩვენმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი იცის.**

ისტორია, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, ომამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. და რომ არა ქართველების თავზეხელაღებული საქციელი, გაგრა ომის დაწყების პირველი დღეს დაეცემოდა. ამ „სიგიჟის“ ერთ-ერთი შემოქმედი აფხაზეთის მხედრიონის უფროსი ბადრი ფირცხელიანი იყო.

როგორ შეიტანეს ქართველებმა სოჭიდან გაგრაში იარაღი, ამის შესახებ თავად ამ ამბის მთავარი გმირი გვიამბობს:

**ბადრი ფირცხელიანი:**

– თბილისში სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო და აფხაზეთშიც არ იყო კარგად საქმე. ჩვენ, აფხაზეთის მხედრიონის წევრები, ვცდილობდით, არანაირ პროვოკაციას არ წამოვგებოდით. დიდი მცდელობის მიუხედავად, პროვოკაციას მაინც ვერ ავცდით.

გაგრის საფეხბურთო გუნდში ერთი სომეხი ბიჭი თამაშობდა და იმან დაგვპატიჟა ქორწილში. იქ აფხაზებმა ისეთი პროვოკაცია მოგვიწყვეს, რომ ჩხუბის გარეშე ვერ ჩაივლიდა ეს საქმე. ჩვენც ვიჩხუბეთ.

ჩხუბის შემდეგ ქორწილიდან წამოვედით, რესტორნიდან გამოსულებს მილიციონერი დაგვხვდა, აფხაზი ბიჭი. მიზანში ამოგვიღო და გვესროლა. მისი ნასროლი აგვცდა. საპასუხო სროლა ჩემმა მძღოლმა ანზორ ჭკადუამ განახორციელა. იმას რომ არ ემარჯვა, აფხაზს შესაძლოა დავეხოცეთ. ცხონებული ანზორი გაგრის დაცემისას დაიღუპა. ანზორმა ფეხში დაჭრა ის აფხაზი ბიჭი. ჩვენ შორის სიტუაცია გაგრის მილიციის უფროსის მოადგილის, გევორქიანის მოსვლის შემდეგ განიმუხტა. ისიც გავარკვიეთ, რომ იმ ბიჭს ამ პროვოკაციასთან საერთო არაფერი ჰქონდა, უბრალოდ, ჩვენ პირველები გამოვედით გარეთ და მან პირველივეს ესროლა.

აფხაზეთის მხედრიონის ოფისი სანატორიუმ „თბილისში“ გვქონდა და იქ ვრჩებოდით ხოლმე ხშირად. იმ საღამოს სტუმრები მყავდა და სახლში წავედი. დილით ბიჭებმა დამირეკეს, სანატორიუმი ალყაშიაო და სასწრაფოდ გავვარდი.

***– აფხაზებმა მოგაქციეს ალყაში?***

– აფხაზებმა და გამსახურდიას მომხრეებმა. სანატორიუმში პლაჟის მხრიდან შევედი. ორივე მხარე ერთად წიოდა და კიოდა. ითხოვდნენ, აფხაზეთიდან მოშორდით მხედრიონელებიო. ამ ალყამ კარგა ხანს გასტანა. ძალიან გამიკვირდა, ჩვენ მხარდასაჭერად არავინ რომ არ მოვიდა. მართალია, იქ არც სროლა ყოფილა და არც გაწევ-გამოწევა, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო.

ერთადერთი, ვინც ჩვენთან მოსვლა გაბედა, ქალბატონი ნანული კუპრეიშვილი იყო. მისი შვილი კახა ჩვენთან ერთად იმყოფებოდა. ეს ქალი ჩანთებით დატვირთული მოვიდა და საჭმელი მოგვიტანა. ნანული კუპრეიშვილმა 1993 წლის ივლისში ტამიშშიც ჩამოგვაკითხა და იქაც ჩამოგვიტანა სურსათ-სანოვაგე. აფხაზებმა და ზვიადისტებმა ქალბატონი ნანული უპრობლემოდ გამოატარეს. მოგვიანებით სხვებიც მოვიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სანატორიუმის ჭიშკარს აფხაზეთის მაშინდელი შს მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი მოადგა. მან მითხრა, მინდა, შენი მძღოლი იმ აფხაზ მილიციონერთან შევარიგო, რომელთანაც რესტორანთან ჩხუბი მოუვიდაო. ანზორი წავიდა ანქვაბთან ერთად გუდაუთაში. მინისტრმა ისინი შეარიგა, კაი სუფრაც გაუშალა და ისე გამოუშვა გაგრაში.

ანქვაბმა არძინბას დანაბარებიც გადმომცა. არძინბა ითხოვდა, რომ ჩვენ გაგრიდან წავსულიყავი. ამაზე, ბუნებრივია, უარი ვუთხარი ანქვაბს. მერე პირობა მივეცი, რომ სანატორიუმიდან გავიდოდით, თუ მიტინგები შეწყდებოდა.

მიტინგები დროებით შეწყდა, მაგრამ მოგვივიდა ინფორმაცია, რომ აფხაზებმა გამალებით დაიწყეს შეიარაღება. მაგათ იარაღი ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ იმ პერიოდში ძალიან გააქტიურდნენ. აშკარა იყო, რომ სერიოზული პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ. აფხაზების სამზადისს რომ ვუყურებდით, გადავწყვიტეთ, იარაღი ჩვენც გვეშოვა.

***– თქვენ არ გქონდათ იარაღი?***

– ძალიან ცოტა იარაღი გვქონდა. იარაღის წამოღება ერთადერთი თბილისიდან შეგვეძლო. ჯაბა იოსელიანს დავურეკე და ვუთხარი, რაც ხდებოდა. მითხრა, ჩამოდი და რისი საშუალებაც გვექნება, დაგეხმარებითო. თბილისში სოჭიდან ჩავფრინდით. ჩემთან ერთად ორი პიროვნება იმყოფებოდა.

ცხონებულმა ჯაბამ მოგვცა იარაღის ნაწილი, რაც საკმარისი არ იყო. ამის შემდეგ მივედით გია ყარყარაშვილთან. ისიც მართლა გულით დამეხმარა. პატარა სატვირთო მანქანით ვიყავით და იმ მანქანაში დავაწყვეთ იარაღი. არეული დრო იყო და ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ყოველი შემთხვევისთვის, გიამ 3 მაკაროვი და 3 ლიმონკაც მოგვცა.

იარაღი ასე თუ ისე მოვაგროვეთ, მაგრამ ახლა მთავარი პრობლემა იყო, როგორ უნდა წაგველო ეს იარაღი. სახმელეთო გზით ვერ წავიდოდით, სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო და სამეგრელოში გზები გადაკეტილი. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ იარაღს გაგრაში ვერტმფრენით ჩავიტანდით.

ერთი თეთრი ვერტმფრენი იყო აეროპორტში, ძლივს დაღოღავდა, იმით ვაპირებდით გაფრენას. ჯაბამ მაშინდელ სამხედრო კომენდანტს, გივი კვანტალიანს სთხოვა, რომ ეს ვერტმფრენი ჩვენთვის მოეცათ. იარაღით დატვირთულებს აეროპორტში გივი კვანტალიანი დაგვხვდა და მფრინავებს შეგვახვედრა. თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ მეორე დილით გავფრინდებოდით.

როცა გადაწყვეტილება მივიღეთ, გივი კვანტალიანმა დაგვპატიჟა, 100-100 გრამი კონიაკი დავლიოთო. ვსაუბრობდით, როცა ერთ-ერთი ჩემი თანმხლები პირი შემოვიდა და ცოტა



პროვოკაციული წინადადება შემომთავაზა. მაშინ ამას ვერ მივხვდი, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, ეს იყო პროვოკაცია. ამ პიროვნებამ მითხრა, ახლა მიფრინავს თბილისი-სოჭი-მოსკოვის რეისი და იარაღი იქნება ამით წაგველოო. მეც დავთანხმდი.

***– სამოქალაქო რეისით დათანხმდით იარაღის წაღებას?***

– დავთანხმდი, ძალიან მეჩქარებოდა. ისეთი სიტუაცია იყო, აფხაზეთში ომი შეიძლებოდა ყოველ წამს დაწყებულიყო. ამიტომაც გავრისკე სამოქალაქო თვითმფრინავში ავტომატების, ყუმბარმტყორცნების და ჭურვების დატვირთვა. თავიდან არ მეგონა, რომ ვინმე დათანხმდებოდა ამ ტვირთის წაღებას. ამის შესახებ თანმხლებ პირსაც ვუთხარი. როგორც გაირკვა, მას მფრინავებთან მოგვარებული ჰქონია უკვე საქმე. მითხრა, მფრინავები სვანები არიან და უარს არ გვეტყვიანო. მეც დაველაპარაკე ამ მფრინავებს, ავთო გულედანი და კობა ონიანი მაგარი ბიჭები აღმოჩნდნენ. მათთან ერთად იყო მესამეც, მაგრამ იმის გვარი არ მახსოვს.

რამდენადაც ვიცი, ამ საქმისთვის, მოგვიანებით, ისინი შევარდნაძემ ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. ამ ბიჭებმა მართლა დიდი გმირობა ჩაიდინეს. თანაც იცით, რა მითხრეს, ქვეყანას წაადგეს ეს იარაღი და ჯანდაბას ჩვენი თავიო. ამ იარაღმა რამდენიმე თვის შემდეგ უამრავი ადამიანი გადაარჩინა.

მფრინავები დაგვთანხმდნენ იარაღის დაწყობას, მაგრამ ახლა ის გვქონდა მოსაგვარებელი, ადლერში როგორ ჩამოგვეტვირთა ეს იარაღი. დავურეკე გაგრის მილიციის მაშინდელ უფროსს, ანატოლი შონიას, რომელიც უმაგრესი ადამიანია და ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. ყველაფერი რომ ვუთხარი, გადარეულმა მითხრა, შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარო.

მე მაინც ვაწვები, რა მოხდა, „ჩორნი ვორონი“ შემოიყვანე, ვითომ პატიმრები ჩაგვყავს და იქ შევყრით ამ იარაღს-თქო. ანატოლიმ მითხრა, თუ 3 დღეს მომცემ, გავაკეთებ ამ საქმესო. მე ვუთხარი, სულ რაღაც 2 საათი გაქვსო. შონიამ უარი თქვა და სწორადაც მოიქცა – გეგმა, რომელიც შევთავაზე, სისულელე იყო.

ამის შემდეგ დავრეკე შტაბში და ჩემს ძმას ველაპარაკე. იმანაც მითხრა, სისულელეს აკეთებო. მე ჩემი არ დავიშალე. გაგრაში გვყავდა მანქანა, რომელსაც მართავდა დაზმირ მარგველანი, მაგარი ბიჭი იყო. მან იცოდა გზები, რომლებითაც მანდარინი გადაჰქონდათ ხოლმე ბიჭებს ფსოუზე.

დიდი ჩხუბის შემდეგ შევთანხმდით, რომ ამ მანქანით ისინი დაგვხვდებოდნენ ადლერის აეროპორტთან. მანქანამდე იარაღს ელექტროკარით მივიტანდით. აეროპორტიდან ფსოუმდე 4 კილომეტრია და უცბად წავიღებდით შემოვლითი გზებით ამ იარაღს გაგრაში.

გეგმაზე რომ შევთანხმდით, იარაღის დაწყობა დავიწყეთ. ავტომატები ყუთების გარეშე გვქონდა წამოღებული და მათ შეფუთვას დრო სჭირდებოდა. გივი კვანტალიანს ვთხოვეთ დრო და მან რეისი ერთი საათით დააყოვნა. გადავწყვიტეთ რომ 3-3 ავტომატს ქაღალდში გაახვევდნენ. კვანტალიანი უკან ძალიან მალე დაბრუნდა და გვითხრა, ყველაფერი შეფუთული და დალაგებულიაო. ამის შემდეგ ჩვენც ავედით თვითმფრინავში.

არასოდეს დამავიწყდება მგზავრების ზიზღით სავსე სახეები. ისინი მიხვდნენ, რომ ჩვენ გამო იყო გაჩერებული თვითმფრინავი. მოსკოვში „საგულაოდ“ თუ სავაჭროდ მიმავალი ქართველები ამრეზით გვიყურებდნენ. რა იცოდნენ მათ, რომ ჩვენ იმ მომენტში ტყვიაზე მივდიოდით.

მშვიდობიანად ჩავფრინდით ადლერში, სადაც თვითმფრინავს საწვავი უნდა შეევსო. პილოტებმა რაციით ელექტროკარი და 2 მტვირთავი გამოიძახეს ჩვენი იარაღის გადასატანად. ასევე გამოიძახეს საწვავის მანქანაც. საწვავის მანქანა უფრო ადრე მოვიდა. ამ დროს ავთო გულედანი ავიდა თვითმფრინავში და ერთი ამბავი ატეხა. ყვიროდა, ეს იარაღი როგორ გაუხვევიათო. მითხრა, მტვირთავები ზევით არ ამოუშვა, უკან გააბრუნეო. ასეც მოვიქეცი, ფული გადავუხადე და წავიდნენ.

***– არაფერი იეჭვეს?***

– არა. გახარებულები წავიდნენ – ფული ისე აიღეს, მუშაობამ არ მოუწიათ. ისინი რომ წავიდნენ, ავთომ მაჩვენა, როგორ იყო ეს იარაღი შეფუთული. ქაღალდი მხოლოდ ერთხელ იყო გადახვეული და ავტომატების თავები ჩანდა. ადლერში მათი ამ ფორმით გადმოტვირთვა სარისკო იყო. მფრინავებმა მითხრეს, ამ იარაღს ისე დავმალავთ თვითმფრინავში, ვერავინ ნახავს და უკან ჩავიტანთ თბილისშიო.

ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი ვთქვი. მჯეროდა, რომ ღმერთი ჩვენთან იყო და ხელს მოგვიმართავდა. მართლაც, უფლის ნება რომ არ ყოფილიყო, ეს ოპერაცია ჩავარდებოდა. იარაღი ჩვენ თავად ჩამოვტვირთეთ. მფრინავების გარდა, იარაღის გადმოტვირთვაში ჩემი თანმხლები 2 პირიც მონაწილეობდა.

ელექტროკარის მძღოლს ნიკოლაი ერქვა, მან ყველაფერი დაინახა და მკითხა, მტვირთავები რატომ გაუშვითო. ვუთხარი, ბიზნესმენი ვარ, ბროლის ჭიქები ჩამომაქვს და სხვას არ ვანდე მისი გადმოტვირთვა. შევჯექით ყველანი ელექტროკარზე და წამოვედით აეროპორტისკენ. ჩემი თანმხლები პირებიც გვერდით მიდგანან. ერთმა მათგანმა, რომელმაც თვითმფრინავის იდეა შემომთავაზა, უცბად გააჩერა ელექტროკარი და გაიქცა. მომაძახა, ბიჭებს გავაფრთხილებო.

მეორე თანმხლები პირი, რომელიც ჩემთან ერთად დარჩა, სულ 2 დღის გაცნობილი მყავს. იმ გაქცეულისგან გავიცანი. ამ ადამიანის გვარის დასახელება გულით მინდა, მაგრამ ახლა რუსეთში ცხოვრობს და შეიძლება რამე პრობლემა შეექმნას. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს კაცი არის მთიელი, ოღონდ არა სვანი.

***– ამ კაცის ვინაობა მეც ვიცი, მაგრამ რაკი არ გინდათ მისი გვარის დასახელება, ნუ ვიტყვით.***

– ხომ გითხარით, გულით მინდა, მაგრამ..... ისევ ამბავს ვუბრუნდები და ეს 2 დღის გაცნობილი კაცი მომიტრიალდა და მითხრა, ვინც შენ მიგატოვოს, იმის დედაცო. გაოგნებული დავრჩი.

ჩემმა ძმამ იცოდა, რომ აეროპორტს იმ მხარეს უნდა მისდგომოდა, სადაც სატვირთო შედიოდა. იქ რომ მისულან ბიჭები, შესვენება ეწერა თურმე. ბიჭებს უთქვამთ, მოდი, დაველოდოთო. ჩემს ძმას გულმა რაღაც უგრძნო და ამათ სთხოვა, იქ გავჩერდეთ, საიდანაც ხალხი გამოდისო და კიდევ კარგი, ასე გააკეთეს. ელექტროკარი მძღოლმა ნიკოლაიმაც ხალხის გასასვლელისკენ გააქანა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ჩვენი გამოსვლიდან რამდენიმე წუთში იქაურობა სპეცრაზმით გაივსო.



ბადრი ფირცხელიანი

ელექტროკარის მძღოლი ხედავდა იარაღს, მაგრამ არ იმჩნევდა. კიბეებს რომ მივუახლოვდით, გაექანა და დაეჯახა. რამდენიმე ავტომატი და ტყვიებით სავსე ყუთი გადმოვარდა. ყველანი დავიბენით. ამ დროს გავიხედე და ჩვენი ბიჭები მორბიან. ფუტკარი რომ დაესევა რაღაცას, ისე დაესივნენ ამ იარაღს და წამებში გააქრეს იქედან.

ამ დროს ელექტროკარს ვიღაც ქალი მოადგა, რომელიც ასფალტს გვიდა. მძღოლს რუსულად ეკითხება, კოლია, ეს ავტომატები და ჭურვები სად მიგაქვთო. იმ დილით ჯაბამ მე ანტიტერორისტული სამმართველოს უფროსის მოადგილედ დამნიშნა და საბუთიც მომცა. ეს საბუთი ამოვიღე და ქალს ცხვირწინ ავუფრიალე და ვუთხარი, კაგებე ვარ-თქო.

ქალმა შემომხედა და რუსულად მითხრა, თუ კაგებე ხარ, მაშინ ხოო. არადა იცით, როგორი კაგებე ვარ? წვერი მაქვს მოშვებული, სვანური ქუდი მახურავს. ჯინსის შარვალი და ბათინკები მაცვია. ზემოდან კიდევ სამხედრო ქურთუკი მაქვს შემოცმული. მოკლედ რომ გითხრათ, ტყიდან გამოვარდნილს ვგავარ. ამ ქალმა კარგად შემათვალიერა კიდევ ერთხელ და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. მალევე გაიქცა ნიკოლაიც.

აეროპორტიდან გამოსასვლელში ჯიხურები იყო ჩამწკრივებული. სიგარეტი უნდა მეყიდა და ერთ ჯიხურს მივადექი. გამყიდველმა სახეზე რომ შემხედა, ეტყობა, ძალიან საშინელი ფერი მედო და წყლიანი ჭიქა მომაწოდა, დალიეო. წყალს რომ ვსვამდი, ატყდა მანქანების სიგნალები. იქ რაღაც წრე იყო, რომლისთვისაც მანქანით უნდა შემოგევლო. ეს მანქანები ამ წრეს უვლიან გარს. ჩემმა ძმამ ხელით მანიშნა, ყველაფერი მაგრად არისო და ამოვისუნთქე. ასე მეგონა, ერთი ვაგონი ცემენტი მოვიხსენი ზურგიდან.

დამშვიდებულმა ჩემი გაქცეული თანმხლებიც მოვნახე და ცხვირში ერთი კარგად მოვარტყი. მანქანაში რომ დავჯექით, ჩემი ძმა მოვიდა და მკითხა, თან რაიმე იარაღი ხომ არ გაქვთო. გამახსენდა, რომ ყარყარაშვილის ნაჩუქარი ლიმონკები და მაკაროვები გვქონდა. მოვიხსენით ესენი და მივეცი ჩემს ძმას. მან ეს იარაღი ჯიბეებში ჩაიწყო და ფსოუში შევიდა. საწყალმა გაყინულ წყალში გაცურა და იმ საღამოს 41 გრადუსი სიცხე ჰქონდა.

მივუახლოვდით ფსოუს ხიდს, სადაც, როგორც წესი, ავტოინსპექცია იდგა. დავინახეთ, რომ იქაურობა გადაკეტილი იყო და ფორმიანი ხალხი მოძრაობდა. ისინი არაფერს ამბობდნენ, უბრალოდ, მანქანის საბარგულებს ხსნიდნენ და შიგ იხედებოდნენ.

***– რას ეძებდნენ ამ მანქანებში, იარაღს?***

– ჩვენს იარაღს ეძებდნენ თურმე, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, რა ხდებოდა. თან არ ვნერვიულობდი, ჩვენი იარაღი ბიჭებს უკვე გაგრაში ჰქონდათ გადატანილი. შემოწმების რიგში ვდგავართ და დავინახე, მოდის რუსი ვიცე-პოლკოვნიკი. ხელში რაღაც ფურცელი უკავია. თან 2 ახალგაზრდა ბიჭი მოჰყვება. ეს ვიცე-პოლკოვნიკი მანქანებში იყურება და ხალხს ათვალიერებს. ჩვენ ერთი კაი კაცის, ელგუჯა ბერძენიშვილის მანქანაში ვისხედით.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ირაკლი მაკალათია: „ხალხს მიწა უფასოდ უნდა დაურიგდეს“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტ ირაკლი მაკალათიასთან**




***— ირაკლი, თქვენი ცენტრი გამოდის ინიციატივით, რომ მოხდეს მიწის პრივატიზაცია და ხელისუფლებამ მიწები მოსახლეობას გადასცეს. უფრო კონკრეტულად, რას ითვალისწინებს ეს იდეა და როგორ უნდა მოხდეს მისი განხორციელება?***

— დღეს მიწის რესურსების 60-65% ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია და არ არის განკერძოებული. შესაბამისად, არც მიწის ფასი იზრდება. მიწის მფლობელებს არ აქვთ შესაბამისი კაპიტალი, შესაბამისი ღირებულება, რომ მოიზიდონ დამატებითი კაპიტალი. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც სოფლის მეურნეობა ვერ ვითარდება.

***— რაში მდგომარეობს თქვენი ინიციატივა?***

— ჩვენი ინიციატივა არის ის, რომ სახელმწიფოს ხელთ არსებული მიწა გადავიდეს საქართველოს მოქალაქეებზე. გადავიდეს თანაბრად და გადავიდეს უსასყიდლოდ.

***— უსასყიდლოდ?***

— რასაკვირველია. პრივატიზაცია და გაყიდვა არ გაამართლებს. მიწა დღესაც იყიდება, თუმცა დღეს მოსახლეობაში არ არის ფულის მასები საიმისოდ, რომ ხალხმა ეს მიწები შეიძინოს. შესაბამისად, ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, მოხდეს ამ მიწის ფონდის გადაცემა საქართველოს მოქალაქეებზე უსასყიდლოდ. როდესაც მიწა 100%-ით გადავა კერძო სექტორში, შესაბამისად, დაიწყება მიწის ფასის ზრდა. როდესაც მიწის ფასი დაუახლოვდება ევროპულ ფასებს, მესაკუთრეებს გაუჩნდებათ მაღალი კაპიტალი და შესაძლებლობა, რომ სოფლის მეურნეობა განავითარონ.

***— აქტიურად იყიდებოდა მიწა უცხოელებზე. ამ საკითხის კვლევით თუ ხართ დაინტერესებული?***

— დღეს უკვე არსებობს შესაბამისი რეგულაციები, რომ მიწა აღარ გაიყიდოს უცხოელებზე. თუმცა აქაც არის მთელი რიგი ხარვეზები. შესაძლებელია, უცხოელმა ცოლად შეირთოს საქართველოს მოქალაქე და ამ კუთხით შეეცადოს მიწის შეძენას, ან კანონის გვერდით ავლით გარიგება დადოს საქართველოს მოქალაქესთან, შეაძენინოს მიწა და შემდეგ თვითონ განკარგოს.

***— არსებობს თავდაცვის მექანიზმი?***

— პირველ რიგში, მიწას უნდა დაედოს ფასი. დღეს ძალიან დაბალია მიწის ფასი — 1.000 ლარიდან 1.000 დოლარამდე მერყეობს. უცხოელს ამ ფასის გადახდა თავისუფლად შეუძლია, ხოლო მას შემდეგ, რაც მოხდება განკერძოება, ამოიწურება ეს ჭარბი მიწოდება, მას შემდეგ მიწის ფასიც გაიზრდება. როდესაც მიწის ფასი გაუტოლდება უცხოურ ბაზარს, უცხოელსაც ასე მარტივად ველარ შეეძლება შეძენა.

***— როდესაც ამბობთ, რომ მიწა მთლიანად დაურიგდეს საქართველოს მოსახლეობას, გლეხებს, იქნებ მათ ვერ შეძლონ ამ მიწის გამოყენება, მისი დამუშავება?***

— მიწა მხოლოდ გლეხებს არ უნდა დაურიგდეს. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება, მიიღოს ეს მიწა. თუკი თქვენ გაქვთ 5 ჰექტარი მიწა, შესაბამისად, გაქვთ 50 ათასი ლარის კაპიტალი. თქვენ შეგიძლიათ, ამ კაპიტალით ბანკიდან კრედიტი აიღოთ ან ნებისმიერი ინვესტორი მოიზიდოთ, შესაძლოა, სულაც ვინმეს ათხოვოთ მიწა, რომელიც დაამუშავებს და შემდეგ მოსავალს გაგიყოფთ. მოკლედ, მიწა ვერანაირად ვერ მოცდება, იმიტომ, რომ მას ექნება ფასი. დღეს იმიტომ არ არის მიწა მიმზიდველი, რომ მას აქვს დაბალი ფასი.

***— ყველაზე მეტად სად ფასობს მიწა, რომელ რეგიონში?***

— ყველაზე მეტად მიწა განკერძოებულია კახეთის რაიონში. დასაქმების დონეზე როცა საუბრობენ, კახეთში დასაქმების დონე ყველაზე მაღალია, რადგან იქ მიწა მეტად არის განკერძოებული. სწორედ ამიტომ ვაყენებთ ამ საკითხს ასე აქტიურად — თუ მიწის ფონდი მთლიანად გადავა მოსახლეობის ხელში, ქვეყანაში დასაქმების დონეც საგრძნობლად გაიზრდება.

***— როდესაც საუბრობთ მიწის უფასო გადაცემაზე, ეს უნდა მოხდეს გარკვეული პერიოდით თუ სამუდამოდ?***

— დიახ, ეს უნდა გადაეცეს უფასოდ და არანაირი იჯარა და არანაირი გარანტიები არ უნდა მოითხოვოს სახელმწიფომ. არანაირი რეგულაცია, ეს აქტივები გადაეცეს ხალხს უფასოდ და გადავიდეს მათ საკუთრებაში. როდესაც ხდება განკერძოება, მიწის ფასიც საგრძნობლად იზრდება. თუ დღეს ერთი ჰექტარი ღირს 500-დან 1.000 ლარამდე, განკერძოების შემთხვევაში, ფასი იზრდება 10 ათას ლარამდე.

***— თბილისის მასშტაბით რა მდგომარეობაა? როგორია მიწის ფასი?***

— ზუსტად ანალოგიური პრობლემები იყო, სანამ განკერძოვდებოდა. 50 ცენტი ღირდა ერთი კვადრატული, ხოლო მას შემდეგ, რაც ურბანული მიწის ფართი განკერძოვდა, მისი ფასი გაიზარდა და 900-1000 დოლარად თბილისის ცენტრში ერთი კვადრატული უკვე საძებარია.

***— ხელისუფლების პოზიცია როგორია თქვენს ინიციატივებთან დაკავშირებით?***

— ამ ინიციატივასა და პროგრამას ჩვენ ვაწვდით ხელისუფლებას, ასევე ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ პირთან თუ ორგანიზაციასთან. ამ ეტაპზე ხელისუფლებისგან არც თანხმობა მიგვიღია და არც უარყოფა. აუცილებელია ამ თემის გაშლა, მოსახლეობამდე მიტანა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ასეთ შემთხვევაში რამხელა კეთილდღეობა ელოდება მას და არა ის, რომ სახელმწიფომ გვარჩინოს, სახელმწიფომ სუბსიდიებით მოგვამარაგოს სოფლის მეურნეობაში, არამცდაარამც!

***— ამის წინააღმდეგი ხართ?***

— არანაირი სუბსიდია, არანაირი დახმარება! მიწები გადაეცეს ხალხს და მათ უკვე შეეძლებათ, თავად აწარმოონ, თავად გაუკეთონ თავიანთ საქმეს სუბსიდირება და არ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფოს შემწეობებზე. თუ ეს განხორციელდა, ნახავთ, რამდენიმე წელიწადში ჩვენი მოსახლეობა ფინანსურად წელში როგორ გაიმართება და გაძლიერდება.


# რას ყვება მერაბ სეფაშვილის შვილი ლელა გეჯაძის სამკურნალო ნაყენზე!

## „დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ლელას იმისთვის, რომ ჯანმრთელობა და ცხოვრების ხალისი დამიბრუნა!“

ქავთასი®
კომპლექსური მკურნალობის პრეპარატი

ლელა გეჯაძის ნაყენი „ქავთასი“ უნიკალური მცენარეული საშუალებაა, რომელმაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უამრავ ადამიანს მოუგვარა. მადლიერ პაციენტთა შორის ერთ-ერთი მომღერალ მერაბ სეფაშვილის შვილი — სანდრო სეფაშვილიც გახლავთ, რომელიც მკითხველს თავად უამბობს ლელა გეჯაძის ნაყენით მკურნალობის საოცარ შედეგზე:

**სანდრო სეფაშვილი:**

— მაწუხებდა ნაღვლის ბუშტი, ამას თან დაერთო კუჭ-ნაწლავის პრობლემებიც — მქონდა გაუსაძლისი ტკივილი მუცლის ღრუში, თავის უმიზეზო ტკივილები, უმადობა, უენერგიობა, გულისრევის შეგრძნება... მცირე დოზით ალკოჰოლური სასმელის მიღებაც კი საშინელ ნაბახუსევს იწვევდა... მოკლედ, წვეულების ყოველი მომდევნო დილა ჩემთვის საშინელ თავის ტკივილთან, პირის სიმშრალესთან და უხასიათობასთან ასოცირდებოდა. მეგობრისგან გავიგე ლელა გეჯაძისა და მისი უნიკალური ნაყენის შესახებ და გადავწყვიტე, ჩემს თავზე გამომეცადა. მკურნალობის დაწყებიდან სულ რაღაც 2-3 დღეში ნათლად ვიგრძენი მდგომარეობის გაუმჯობესება — დამიბრუნდა მადა, მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, გავხდი ენერგიული და ა.შ. ხოლო სრულად გამოსაჯანმრთელებლად 5 კურსი ანუ ერთი თვე დამჭირდა. ამ ნაყენით დაახლოებით 1 წლის წინ ვიმკურნალე და მას შემდეგ არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ჩივილს აღარ შევუწუხებივარ. მიუხედავად ამისა, ვაპირებ პროფილაქტიკის მიზნით კურსის გამეორებას და ყველას ვურჩევ, ამ უნიკალური ნაყენით იმკურნალოს, რადგან ამ ხნის განმავლობაში ლელა გეჯაძის მიერ გაკურნებული უამრავი პაციენტი ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეს ნაყენი მართლაც სასწაულმოქმედია! ვფიქრობ, ეს სასწაულმოქმედი ეფექტი კიდევ უფრო გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ ნაყენი მეტეხის ტაძრის წინამძღვარმა — მამა აკაკიმ (მელიქიძე) აკურთხა. დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ლელას იმისთვის, რომ ჯანმრთელობა და ცხოვრების ხალისი დამიბრუნა!

ლელა გეჯაძის ნაყენი „ქავთასი“ — უჯრედულ დონეზე ახდენს სისხლის ფილტრაციას; გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებს; აწესრიგებს სისხლში ბილირუბინს; არეგულირებს ქოლესტერინს; კურნავს პროსტატას; მკერდში აქრობს სიმსივნურ და კისტოზურ წარმონაქმნებს; მაქსიმალურად აწესრიგებს ნაღვლის ბუშტის ყველა პრობლემას; სრულად აქრობს ნალექს, ჩირქსა და კენჭოვან წარმონაქმნებს; ხსნის ალერგიებს; ამაღლებს იმუნიტეტს; ასუფთავებს ფრონტიტის, ჰაიმორიტის ღრუს; აქრობს არასასიამოვნო გემოს და სუნს პირის ღრუში; კურნავს ბუასილს; აუმჯობესებს ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირებას; აწესრიგებს ენდოკრინულ ბალანსს (შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირება); ახდენს წონის კორექციას; ეწინააღმდეგება ლეიკემიის განვითარებას; იცავს ორგანიზმს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნისგან; ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების დროს; შველის გაცხიმოვნებულ ღვიძლს; ციროზს; ხსნის მწვავე ტკივილებს; ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას; ორგანიზმს ამდიდრებს ვიტამინებით; კურნავს იმპოტენციას; ამაღლებს სექსუალურ აქტივობას და აახალგაზრდავებს ორგანიზმს; განსაკუთრებით ეფექტურია ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობაში; ასევე სასიკეთოა A, B და C ჰეპატიტების დროს და სხვა მრავალი.

აღნიშნული ნაყენის მეშვეობით რამდენიმე ონკოლოგიური პაციენტიც კი განიკურნა — ბიჭიკო სოლოღაშვილი, რომელსაც მარდალეიშვილის კლინიკაში საყლაპავი მილის სიმსივნის მე-3 სტადია დაუდგინეს; ქეთევან თულაშვილი, რომლისთვისაც თავის ქალა უნდა აეხადათ და ჩემი ნაყენის მეშვეობით დღეს სრულიად ჯანმრთელია; მედიკო ბიწაძე, რომელსაც ჰქონდა მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე. გარდა ამისა, ჩემი ნაყენით მკურნალობის შემდეგ დიალეზიდან „მოიხსნა“ პაციენტი დავით ენდელაძე.

**ნინა იაშვილი:**

— მქონდა ფარისებრი ჯირკვალი განლეული, გახლავართ პროფესორ რეზო იაშვილის შვილიშვილი და მოგეხსენებათ, არ მექნებოდა მკურნალობის პრობლემა. ფარისებრი ჯირკვლის განლევა როგორც ექოსკოპიურმა, ასევე სისხლის ანალიზებმაც დაადასტურა.

მან გამოიწვია უამრავი დაავადება ჩემს ორგანიზმში: ჭარბწონიანობა, სახსრების ტკივილი, უენერგიობა, უძილობა. ხასიათში გადამდიოდა ეს ყველაფერი, ვიყავი საშინლად აგრესიული და ამ ყველაფერმა დეპრესიაში ჩამაგდო.

დამინიშნეს ჰორმონით მკურნალობა. როდესაც უკვე ვიწყებდი მკურნალობას, სრულიად შემთხვევით შევიტყვე ლელაზე და მის უნიკალურ პრეპარატზე და გადავწყვიტე მისვლა. მივედი, მივიტანე ჩემი ყველა ანალიზი, რომელიც გაკეთებული მქონდა და მითხრა, რომ ყველაფერი მოგვარებადი იყო. ზუსტად 2 თვე დამჭირდა მკურნალობა. 2 თვის თავზე გადავამოწმე ანალიზები და ფარისებრი ჯირკვალი სრულიად ნორმის ფარგლებში მქონდა. ეს ექოსკოპიამ და სისხლის ანალიზებმაც დაადასტურა! დიდი მადლობა თქვენ ამისთვის!

რა თქმა უნდა, სტატიაში პაციენტთა სრული სია არ არის. რაც მთავარია, მათ თავად ისურვეს, ხალხისთვის მოეყოლათ საკუთარი პრობლემებისა და „ქავთასით“ მკურნალობისას მიღებული შედეგების შესახებ. ვისაც გსურთ, დაემშვიდობოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, დაუკავშირდით ლელა გეჯაძეს ტელეფონის ნომერზე: 595-26-32-17 და „ფეისბუქზე“: ლელა გეჯაძე; მისამართი: იყალთოს 1 ჩიხი №5 (წინასწარი ჩაწერის გარეშე არ ხდება მიღება!).




## საქართველოს ავიაბაზარზე ირანული ავიაკომპანია შემოდის

მიმდინარე წლის ივნისიდან საქართველოში ახალი, ირანული ავიაკომპანია თაბან ეირლაინზი შემოდის.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში აცხადებენ, თაბან ეირლაინზი იწყებს ჩარტერული ფრენების განხორციელებას ირანსა და საქართველოს შორის შემდეგი მიმართულებებითა და სიხშირეებით:

**ისპაჰანი-თბილისი-ისპაჰანი — კვირაში 2-ჯერ.**

**თეირანი-თბილისი-თეირანი — კვირაში 2-ჯერ.**

**მაშადი-თბილისი-თაბრიზი — კვირაში ერთხელ.**

**თეირანი-ბათუმი-თეირანი — კვირაში ერთხელ.**

**თაბრიზი-ბათუმი-მაშადი — კვირაში ერთხელ.**

როგორც უწყებაში განმარტავენ, სააგენტომ ავიაკომპანიას ფრენების შესრულებისთვის აუცილებელი ნებართვა მიანიჭა.

— ავიაკომპანია თაბან ეირლაინზის საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლა დადებითად აისახება ტურისტული ნაკადებისა და მგზავრების რაოდენობის ზრდაზე, ვინაიდან აღნიშნული ფრენები ძირითადად ქვეყნის მიმართულებით ტურისტული ჯგუფების ტრანსპორტირებაზე იქნება ორიენტირებული, — აცხადებენ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

## კობა გვენეტაძე: „არის წინაპირობები იმისთვის, რომ ლარი გამყარდეს“



— ქვეყანაში არის გარკვეული წინაპირობები იმისთვის, რომ ლარი გამყარდეს.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ბიზნესკონტაქტის ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის 4 თვეში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, წინა წლებთან შედარებით, დაახლოებით 300 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა.

— საქართველოში მოქმედებს მცურავი კურსი, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ლარის მოძრაობა იქნება როგორც გამყარების, ისევე გაუფასურების მიმართულებით. ეს არის ის რეალობა, რომელსაც უკვე შეჩვეულები ვართ და რომელსაც უნდა შევეჩვიოთ, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ საქონლის ექსპორტის შემცირება პირველ 4 თვეში იყო მხოლოდ 12 პროცენტი, რაც ნაკლებია იმაზე, რაც ადრე გვქონდა.

— იმპორტის კლება გრძელდება, მაგრამ, მთლიანობაში თუ შევხედავთ, 4 თვეში, წინა წლების პერიოდთან შედარებით, ცე ჰეპატიტის წამლების გამოკლებით, მიმდინარე ანგარიში დაახლოებით 300 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა.

ასე რომ, არის ის წინაპირობები, რომ ლარი გამყარდეს. მნიშვნელოვანია ის მოლოდინები, რაც მოსახლეობას აქვს. ასევე ინფლაციის შემცირებაც ქმნის ამ მოლოდინს, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

***ბიზნესკონტაქტი***

# იარაღი, რომელმაც გაგრა გადაარჩინა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ჩვენს მანქანას რომ მოუახლოვდა, ამ თავის ფურცელს დახედა, გამოაღო მანქანის კარი და პირდაპირ მე მომმართა, თქვენი საბუთებიო. მასაც ჯაბას მოცემული საბუთი ვაჩვენე. საბუთს ხელს ჯაბა იოსელიანი აწერდა. დახედა ამ რუსმა საბუთს, გამომართვა და მითხრა, კი მაგრამ, ეს ხომ კაგებე არ არისო. ამის მერე თაბახის ფურცელს დახედა და მკითხა, ბადრი აიდალაროვიჩ, სად არის იარაღი? მე ვითომ ვერაფერს მივხვდი და ძალიან გავიკვირვე, რას მეკითხები-თქო. ის კიდევ ჩამეკითხა, სად არის იარაღი? მაშინ ვუპასუხე – სახლშია. ამან გიჟივით შემომხედა და მკითხა, სად სახლშიო? დავუკონკრეტე, გაგრაშია-თქო. ეს რუსი გადაირია. მერე შეიგინა, ქართველებმა რუსები როგორ მოგვაღორესო. უფრო უზრდელური სიტყვებით თქვა, მაგრამ ამას გაზეთში როგორ ვიტყვი. სიმწრისგან სულ ფეხებს აბაკუნებდა. ამ საუბარში ვიყავით, რუსები შესამოწმებლად რომ მოგვადგნენ. ჩვენი საბარგულიც სუფთა იყო. ამ ვიცე-პოლკოვნიკმა თავისიანებს გასძახა და ატბოიო, უთხრა. რაღა აზრი ჰქონდა გზის გადაკეტვას. მერე მე მომიტრიალდა, საბუთი დამიბრუნა და ის თაბახის ფურცელიც მომაწოდა, ხელში რომ ეჭირა. სახსოვრად



*ჯაბა იოსელიანთან ერთად*

გქონდესო, დააყოლა. დავხედე ამ თაბახის ფურცელს და რას ვხედავ, ჩემი ფოტორობოტია. ეს ფოტორობოტი იმ ელექტროკარის მძღოლის და ცოცხიანი ქალის დახმარებით შეუდგენიათ. ეს ქალი მთელი ცხოვრება კაგებეშნიცა ყოფილა.

***– ასე მალე როგორ მოასწრეს ფოტორობოტის შედგენა?***

– ჩემი ფოტორობოტის შედგენას რა უნდოდა, წვერები და სვანური ქუდი. ისე ის ელექტროკარის მძღოლი ძალიან წესიერი კაცი იყო. როცა მასთან იარაღი დავაწყვე, „პაჭკით" მივაწოდე ფული. მხოლოდ 800 მანეთი აიღო, დანარჩენი უკან დამიბრუნა, მეტი არ მეკუთვნისო.

რამდენიმე თვის შემდეგ ომი დაიწყო. ჩვენი სამთავრობო ჯარები აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ შემოვიდნენ, გუდაუთელები გაგრაზე წამოვიდნენ იარაღით. აი, მაშინ გამოგვადგა ის იარაღი. ამ იარაღით მოვიგერიეთ მათი პირველი შემოტევა. ეს იარაღი და ჩვენი ბიჭების თავდადება რომ არა, გაგრასაც ომის პირველ დღეს დავკარგავდით და მსხვერპლიც ძალიან დიდი იქნებოდა. 14 აგვისტოს გაგრაში უამრავი დამსვენებელი იყო და ყველას დახოცავდნენ ადგილობრივებთან ერთად. საღამოთი ჯაბამ დამირეკა, დაშიფრული ტექსტით მელაპარაკა, წიგნები ჩაიტანე ბიბლიოთეკაშიო? ვუთხარი, რომ ყველაფერი დავალაგე. იმას ეგონა, ვერტმფრენით გავფრინდით. როცა საფრენ აპარატზე მკითხა, ვუთხარი, რომ მოსკოვში გაფრინდა. ჯაბა გადაირია, მოსკოვამდე ვერ ჩავა, ჩამოვარდებაო. ვუთხარი, რომ თვითმფრინავით გავფრინდით. გადაირია. ეგონა, ვერ ვიცანი და ვაშაყირებდი. მითხრა, რას მაშაყირებ, ჯაბა ვარო. გაირკვა, რომ კვანტალიანს არ უთქვამს, თვითმფრინავით რომ წავედით. ამის გამო ჯერ მეჩხუბა, მერე მადლობა გადამიხადა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# „ნაციონალები კრემლს ნატოს შესახებ საიდუმლო მასალებს აწვდიდნენ"

გულიკო ბალაძე

რატომ ვერ მივიღეთ მაპი ნაცების დროს? ვინ აწვდიდა რუსეთის უმაღლეს ეშელონებს საიდუმლო ინფორმაციას ნატოს პროგრამების შესახებ ნაცხელისუფლებიდან? რატომ თქვეს ნაცებმა უარი ქართულ-აფხაზური კონფერენციის ჩატარებაზე თბილისში? – ამის შესახებ უპარტიოთა მოძრაობის დამფუძნებელი და დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან" საუბრობს.

– მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. რუსეთი არ ეგუება საქართველოს ევროატლანტიკურ ორიენტაციას. როგორც დევნილისთვის, როგორც ევროატლანტიკური ორიენტაციის მომხრე და ეროვნული მოძრაობიდან მოსული პიროვნებისთვის, პატრიოტისა და დემოკრატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ ტაქტიკას აირჩევენ ევროატლანტიკური ორიენტაციის პარტიები, რადგან ე.წ. რბილი ძალის გავლენით, არ გამოვრიცხავ, რამდენიმე რუსული ორიენტაციის პარტია გავიდეს პარლამენტში, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

***– რას გულისხმობთ ე.წ. რბილი ძალის გავლენაში?***

– რუსეთიდან მომდინარე პროპაგანდას. დღეს ევროატლანტიკური ორიენტაციის მომხრე პარტიები სერიოზულ ტაქტიკურ შეცდომებს უშვებენ.

***– რას გულისხმობთ?***

– ევროატლანტიკური ორიენტაციის მიმართ კოალიცია „ქართულ ოცნებაში" ერთსულოვნება არ არის. თუმცა, ხელისუფლებას, პრემიერს გაცხადებული აქვს ევროატლანტიკური ორიენტაცია. არაფორმალური მმართველის მომხრეების მხრიდან არაერთხელ გაგვიგონია ევროატლანტიკური ორიენტაციის კრიტიკა. გვარს მნიშვნელობა არ აქვს.

***– მეჭიაურს თუ გულისხმობთ, მან განაცხადა, რომ ივანიშვილი არ დაეთანხმა მის პოზიციას. როგორც ჩანს, მათი პოლიტიკური გზებიც გაიყო.***

– გზები გაიყო, მაგრამ მეჭიაურს დაფინანსებას შეჰპირდა.

***– თქვენ რა იცით?***

– უახლოეს ხანში ნახავთ, რომ მეჭიაურს ფული მოუვა პარტიის შესაქმნელად. მთავარი ოპოზიციური ძალა, ნაცმოძრაობა კი წინასაარჩევნოდ უსერიოზულეს ტაქტიკურ შეცდომებს უშვებს. მის საგარეო ორიენტაციაში (თუ შეპარულ აგენტებს გამოვრიცხავთ) ეჭვი არ მეპარება. თუმცა, ნაცმოძრაობის ბედი არ მაღელვებს. ის მაღელვებს, საქართველოს სახელმწიფომ ევროატლანტიკურ კურსს არ გადაუხვიოს. თავის დროზე, როდესაც ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში იყო, ბევრი რამ გავაგებინე, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე.

***– რა თვალსაზრისით?***

– ვეუბნებოდი, აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების გადასახალისებლად რა გადაწყვეტილებები იყო მისაღები. ამიტომ ნაცმოძრაობას ძალიან გაუჭირდება ამომრჩევლის თვალში რეაბილიტაცია. ნაციონალების პარტიულ სიაში მოხვედრილ რამდენიმე პიროვნებას პატივს ვცემ, მაგრამ იქ ახალი არავინაა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალურ მოძრაობას ხმას არ მისცემს. ნაციონალურმა მოძრაობამ არაფერი გააკეთა დევნილების ინტერესების გასათვალისწინებლად, დევნილებისთვის საარჩევნო ხმის დაბრუნებისთვის.



***– დევნილი მოსახლეობა ხმას ვის მისცემს?***

– ამ ეტაპზე ნაცმოძრაობის მიმართ დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა ინდიფერენტულია. ჩემს მისიას იმაში ვხედავ, ელექტორატი ისე განვაწყო, უმეტესად დასავლური ორიენტაციის პარტიებს მისცეს ხმა.

***– რომელიმე პარტიაზე მუშაობთ?***

– კონსულტაციები გვაქვს ევროატლანტიკური ორიენტაციის პარტიებთან.

***– კერძოდ?***

– ჯერ ვერ დავასახელებ, რადგან საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს. უახლესი ორი-სამი კვირის განმავლობაში გაირკვევა. ნაცმოძრაობა მფარველობდა ე.წ. ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელსაც წარმოადგენენ ისეთი პირები, ვისაც სეპარატისტულ ზავზე ხელი აქვს მოწერილი, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დადიოდა სამეგრელოში და ჯარისკაცებს მოუწოდებდა იარაღის დაყრისაკენ, არიქა, რუსები მოდიან და სახლში წადითო; ისეთ პიროვნებებს მფარველობდა, რომლებიც ნაციონალ-სეპარატისტებთან, ე.წ. კონფლიქტების მოგვარების საბაბით, ფულებს იყოფდნენ. ვინც დეპუტატებად არ არჩეულან ან აფხაზეთში შეუწყდათ უფლებამოსილება; ასევე, ვინც ორ თანამდებობას ითავსებდა. ამიტომ დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა დღეისთვის ინდიფერენტულია.

***– ნაცმოძრაობა რა ტაქტიკურ შეცდომებს უშვებს?***

– დღეს არ ვიტყვი, ნაცმოძრაობა რა ტაქტიკურ შეცდომებს უშვებს, ამას დაინახავთ არჩევნების დროს.

***– თავის დროზე თქვენ ნაციონალურ მოძრაობას ეხმარებოდით.***

– კი, ბევრი გავაგებინე, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე.

***– არჩევნების დროსაც ეხმარებოდით.***

– ყველა არჩევნების დროს არა. ბოლო არჩევნების დროს არც ვეხმარებოდი და არც ხელს ვუშლიდი. პიროვნულად ვაშაძეს ვეხმარებოდი. ბევრი რამ ვუთხარი მოსალოდნელ შედეგებზე, მაგრამ არ გაითვალისწინა და არჩევნები წააგო კიდევაც ქანთარიასთან.

***– რადგან ნაცებთან, ვაშაძესა და გირჩთან თქვენ არ მიდიხართ, არც „ოცნებასთან" გინდათ, დარჩა ევროატლანტიკური ორიენტაციის ალასანიას პარტია და რესპუბლიკელები. ვისთან მიდიხართ?***

– რესპუბლიკელებთან კავშირი არ მაქვს. ალასანიას პარტიასთან შეხების წერტილი მქონდა. მაგრამ, ჯერჯერობით, რაიმე შედეგზე ლაპარაკი არ არის. გამოკვეთილი საბაბი მინდა, დიდი რაოდენობის ამომრჩეველს, განსაკუთრებით დევნილებს, ვინც მე მიცნობს, რომელიმე პარტიის მხარდაჭერისკენ მოვუწოდო. ალასანიას სერიოზული რესურსი გააჩნია ამ თვალსაზრისითაც და აფხაზებთან ურთიერთობის მხრივ.

***– აფხაზების აზრი იცით?***

– ეს აფხაზებისგანაც მომისმენია თავის დროზე, როდესაც ნაციონალებს ქართულ-აფხაზური კონფერენციის ჩატარების პროექტს ვთავაზობდი. ეს იყო 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე, მაისის ბოლოს. სოფელ ხურჩაში შევხვდი აფხაზებს. რამდენიმე აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაცია მზად იყო, ჩამოსულიყო თბილისში, დაეფიქსირებინათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

***– შეთავაზებული პროექტი რატომ არ განხორციელდა?***

– 6 თვის განმავლობაში მატყუებდნენ. არ ვიცი, ეს საკითხი სააკაშვილამდე მივიდა თუ არა.

***– რატომ არ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა? რუსულ გეგმებში არ შედიოდა?***

– არ ვიცი, ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ხელისუფლებისთვისაც მომგებიანი ხომ იქნებოდა, აფხაზი რომ ჩამოვიდოდა თბილისში და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დააფიქსირებდა. რუსეთიდან ანტიპუტინური ოპოზიციის წარმომადგენლები უნდა ჩამომეყვანა თბილისში, რომლებიც ასევე დააფიქსირებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მაშინ რუსეთს აფხაზეთი და ცხინვალი აღიარებული არ ჰყავდა, მაგრამ მოსალოდნელი იყო.

ნაცმოძრაობის დროს ბევრს ლაპარაკობდნენ ნატოში გასაწევრიანებლად მაპის მიცემაზე. იცით, რომ ნაცმოძრაობის დროს ჩვენი ნატოელი პარტნიორები ნაციონალურ ხელისუფლებას საყვედურობდნენ, რომ მათი ხელისუფლებიდან კრემლისკენ ჟონავდა ნატოზე სერიოზული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციები. ესეც იყო საქართველოსთვის მაპის მიცემაზე უარის თქმის მიზეზი.

***– ანუ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან კრემლს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციებს აწვდიდნენ?***

– ამას ნატოელი მაღალჩინოსნები ამბობდნენ. ზოგადად, მაპი რომ ვერ მივიღეთ, პასუხისმგებელია როგორც ნაცმოძრაობა, ასევე „ოცნებაც". ნაცმოძრაობის ხელისუფლების ქედმაღლურმა და ამპარტავნულმა დამოკიდებულებამ საზოგადოების ძალიან ბევრი ფენისადმი, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში, მათი ხალხისადმი გაუცხოება გამოიწვია.

# რას აპირებს რუსეთი ნატოსთან ომის შემთხვევაში



– ჩვენი მეზობელი საქართველო დიდი ხანია რუსეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფება. ამას წინათ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოტომსროლელი ასეული ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. ქვეყნის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ძლიერია ანტირუსული განწყობა. შარშან საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს საწრთვნელი ცენტრი დაარსდა, ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულად ტარდება ნატოს ქვეყნებისა და ქართული არმიის ერთობლივი მანევრები (დღესაც ვაზიანის ბაზაზე სწორედ ასეთი წრთვნები „ღირსეული პარტნიორი – 2016" მიმდინარეობს). მოკლედ, ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ორგანიზაცია ნელნელა, მაგრამ მტკიცედ ითვისებს სამხედრო მოქმედებების თეატრისათვის მისთვის ახალ კავკასიის რეგიონის ტერიტორიას, – ამის შესახებ რუსული გამოცემა „Независимое военное обозрение"-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი.

გამოცემის თანახმად, უკვე ეჭვი აღარაა, რომ რუსეთსა და ნატოს ქვეყნების ომის შემთხვევაში, ალიანსი კავკასიის მიმართულებით შეტევას განახორციელებს. ასეთ სიტუაციაში, 2008 წლის აგვისტოსგან განსხვავებით, რუსეთის არმიას ბრძოლა არა მხოლოდ ქართველ ჯარისკაცებთან მოუწევს, არამედ უფრო სერიოზულ ძალასთან.

– ომის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს კავკასიის მთავარი ქედის მაღალმთიანი ნაწილის დაცვას და პირველ რიგში – ტრანსკავკასიურ მაგისტრალს, საქართველოს სამხედრო გზას და სხვა კომუნიკაციებს. არანაკლებ სახიფათო მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს სოხუმის სამხედრო გზა, ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ საქართველო-რუსეთის საზღვრის ის ნაწილი, რომელიც გვანდრასა და გეზე-თაუს მთებს შორისაა მოქცეული (140 კმ.) ამ დროს თავდაცვის ორგანიზება მაღალმთიან პირობებში მოგვიწევს – დაახლოებით 3000-3500 მეტრს სიმაღლეზე, – ნათქვამია სტატიაში (ავტორი ალექსანდრ სარკოვსკი).

პუბლიკაციაში განხილულ-გაანაზილებულია ნატოს ქვეყნების სავარაუდო შეტევისადმი თავდაცვის ორგანიზება კავკასიის მთავარ ქედზე (მეორე მსოფლიო ომში კავკასიის ბრძოლების გამოცდილების გათვალისწინებით). აღნიშნულია, რომ იმ დროს ქართველმა ალპინისტებმა და სამთო მსროლელებმა დიდი როლი შეასრულეს გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ავტორი არ ივიწყებს სვანი ალპინისტების როლსაც საბჭოთა პერიოდში (საუბრობს მიხეილ ხერგიანზე). „მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, დღეს, სავარაუდო სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში, საქართველოს სერიოზული ძალების გამოყვანა არ შეუძლია. უფრო მეტად ჩართული იქნება გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის სამხედრო ქვედანაყოფები" (გერმანული სამთომსროლელი ბრიგადები, ფრანგული ალპური ეგერები, იტალიური ალპინისა და ბარსალერის ბრიგადები). ავტორი ზუსტად მიუთითებს ნატოს წევრი ქვეყნების იმ სამხედრო ქვედანაყოფების ნომრებს და მეთაურებს, რომლებიც, ალბათ, კავკასიურ საომარ თეატრში იქნება გამოყენებული. პუბლიკაციაში ყურადღება უმეტესად ეთმობა იმ გარემოებას, თუ როგორ უნდა დაიცვას რუსეთმა კავკასიის მთავარ ქედზე გამავალი თავისი სახელმწიფო საზღვარი და როგორი ძალების მობილიზება იქნება აუცილებელი. ყურადღება ეთმობა უღელტეხილებზე თავდაცვითი წერტილების მოწყობას, ჯარისკაცთა შეიარაღებას და ა.შ.

**ნიუსპრესი**

# ჩერნოგორია ნატოში მიიღეს

ბრიუსელში საზეიმო ვითარებაში გაფორმდა ჩერნოგორიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ჩერნოგორიის პრემიერმა მილო ჯუკანოვიჩმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, აგრეთვე ნატოს წევრი ყველა 28 ქვეყნის წარმომადგენელმა.

სტოლტენბერგმა ჩერნოგორიის ნატოში გაწევრიანებას ისტორიული მოვლენა უწოდა.

— ამით სამხრეთ სლავებში გარდატეხის პროცესი დასრულდა, — თქვა მან.




მართლაც, ჩერნოგორიელები, ტრადიციულად, პანსლავურ პოზიციებზე იდგნენ. როცა შორეულ 1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, ციცქნა სათავადო ჩერნოგორიამ იაპონიას ომი გამოუცხადა. როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომის დროს ჩერნოგორიაში ძლიერი პარტიზანული მოძრაობა იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩერნოგორიელთა პანსლავურმა მისწრაფებებმა იოსებ ბროზ ტიტოს ერთგვარად პრობლემებიც კი შეუქმნა. ტიტოს მისწრაფებას, რომ იუგოსლავია საბჭოთა გავლენის ზონაში არ მოქცეულიყო, ყველაზე კატეგორიულად წინ ჩერნოგორიელები აღუდგნენ. სწორედ ჩერნოგორიელი გახლავთ გენერალი არსო იოვანოვიჩი, რომელმაც ტიტოს მოკვლა და იუგოსლავიის რუსეთის გავლენის ზონაში შეყვანა განიზრახა. იოვანოვიჩის შეთქმულება მარცხით დასრულდა, თავად გენერალი კი მოკლეს.

1991 წელს იუგოსლავია დაიშალა. დაიწყო ომი. ჩერნოგორიელებმა სერბებთან კავშირი შეინარჩუნეს. თითქმის მთელი ომის განმავლობაში ჩერნოგორია სერბეთის გვერდით იდგა და იარაღით ხელში სამხრეთ სლავთა ერთიანი სახელმწიფოსთვის იბრძოდა.

სლობოდან მილოშევიჩის ველიკოდერჟავულმა პოლიტიკამ ჩერნოგორიელთა უკმაყოფილება გამოიწვია. პანსლავიზმის მასშტაბები შემცირდა და ის ჩერნოგორიულმა პატრიოტიზმმა ჩაანაცვლა.

ჩერნოგორიამაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ევროპული გზა აირჩია. ამის დაგვირგვინება ნატოში გაწევრიანება იყო.

გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის ხელისუფალნი ამას მიესალმნენ. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ასეთ ნაბიჯს უკიდურესად აგრესიულად შეხვდა, რუსეთია.

— ჩერნოგორიის ნატოში გაწევრიანებით დაირღვა ბალანსი. ჩვენც საპასუხო ზომებს მივიღებთ, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მიუხედავად ასეთი მუქარისა, ჩერნოგორიის ნატოში მიღებას მისმა წევრმა ყველა ქვეყანამ დაუჭირა მხარი.

— ნატოს გაფართოება გრძელდება, — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა.

*ნიკა თევზაძე*

# ქერი: „რუსეთ-ნატოს შორის ძველი ურთიერთობების აღდგენა გამორიცხულია“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ რუსეთსა და ნატოს შორის ძველი ურთიერთობების აღდგენა გამორიცხულია მანამ, სანამ რუსეთი მინსკის ხელშეკრულებებს ბოლომდე არ შეასრულებს.

— რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი დონბასიდან. ამას გარდა, რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე კონტროლი უკრაინას უნდა გადაეცეს, — თქვა ქერიმ.

ამავე დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ რუსეთთან პოლიტიკური დიალოგი აუცილებლად გაგრძელდება.

— ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ დონბასიდან გასვლა მისთვისვეა ხელსაყრელი. დიალოგის გარეშე ეს შეუძლებელია, — თქვა ქერიმ.

# შეტაკებები ვენესუელაში



ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში მრავალათასიანი ანტისამთავრობო დემონსტრაცია გაიმართა. მისი მონაწილეები მოითხოვენ რეფერენდუმის ჩატარებას პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს გადადგომის მოთხოვნით.

პასუხად მადურომ დემონსტრანტებს პოლიცია მიუსია.

მოხდა შეტაკება. პოლიციამ გამოიყენა ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი.

მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეთა დაშლა ვერ მოხერხდა. საპროტესტო გამოსვლები ვენესუელის სხვა ქალაქებშიც გაიმართა.

— დესტრუქციული ელემენტების ძირგამომთხრელი მოქმედებების შედეგად მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, — განაცხადა თავის ტელემიმართვაში მადურომ, — ამიტომ გამოვეცი სპეციალური ბრძანება, რომლის ძალითაც პოლიციის უფლებამოსილება კიდევ უფრო გაფართოვდება.

ვენესუელის უმაღლესმა სასამართლომ პრეზიდენტის განკარგულება საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე კანონიერად ცნო. ამან მადუროს ფრთები შეასხა. პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით, პოლიციელებს ცეცხლსასროლი იარაღი დაურიგეს და უფლება მისცეს, გაუფრთხილებლად გაუხსნან ცეცხლი ყველას, ვინც მიტინგებისა და მსვლელობების მოწყობას გაბედავს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# დნეპროპეტროვსკს სახელი შეუცვალეს



უკრაინის პარლამენტმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. ქალაქ დნეპროპეტროვსკს, რომელიც უკრაინელი ერის ჯალათის, გრიგორი პეტროვსკის სახელს ატარებდა, ამიერიდან დნიპრო დაერქმევა. ამას დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

— პეტროვსკის სახელთან დაკავშირებულია როგორც მასობრივი დახვრეტები 1918-22 წლებში, აგრეთვე ხელოვნურად ორგანიზებული შიმშილობა, რომელმაც 1932-33 წლებში 8 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, — განაცხადა უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ.

ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებმა ცადეს, ამისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ ამაოდ. ისინი აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

— მე დნეპროპეტროვსკში დავიბადე და გავიზარდე. ხალხი ამ ქალაქს მუდამ დნიპროს ეძახდა. ახლა ეს სახელი მას უკვე ოფიციალურად დაერქმევა, რაც უდავოდ მისასალმებელია, — განაცხადა იულია ტიმოშენკომ.

დნეპროპეტროვსკელთა 82% პროცენტი აღნიშნულ დადგენილებას მიესალმება.

ასევე ტაშის გრიალში განხორციელდა დნეპროპეტროვსკის ოლქში მდებარე მეორე ქალაქის, დნეპროძერჟინსკისთვის, სახელის გადარქმევა. ამიერიდან ამ ქალაქს მისი ისტორიული სახელი, კამენსკოე, დაუბრუნდა.

მოსკოვის რეაქცია დნეპროპეტროვსკისთვის სახელის გადარქმევაზე უკიდურესად მწვავე იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ამის გამო ფრიად არაკორექტული განცხადება გააკეთა:

— უკრაინის პარლამენტში უსწავლელი და ზომბირებული დეპუტატები სხედან. მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ ისტორიულ სიმართლეზე, იმაზე, რომ დნეპროპეტროვსკის ნამდვილი სახელი ეკატერინოსლავლია, — თქვა ზახაროვამ.

# დადგენილია მოსკოვის საკრედიტო ბანკზე თავდამსხმელის ვინაობა




დადგენილია იმ ბანდიტის ვინაობა, რომელიც მოსკოვის საკრედიტო ბანკს თავს დაესხა. ის პოდმოსკოვიეს მცხოვრები, წარსულში ძარცვისათვის ნასამართლევი ალექსეი უხინი აღმოჩნდა. უხინს ბანკის ვალი ჰქონდა, რომლის გადახდაც არ შეეძლო. ჰოდა, საქმის გამოსწორება ძარცვის საშუალებით ცადა.

შემთხვევის ადგილას მისულმა სპეცრაზმმა მუხინის ლიკვიდაცია განახორციელა. პოლიციელების დანახვისთანავე მუხინმა პიჯაკი შეიხსნა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს იქ ასაფეთქებელი მოწყობილობა ჰქონდა ჩამონტაჟებული. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ბლეფი იყო, თუმცა პოლიციელები ამას წამოეგნენ, ცეცხლი გახსნეს და მძარცველი მოკლეს. ყველა პოლიციელი, რომელიც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა, დაჯილდოვდება.

# ტაივანი: ახალი პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას შეუდგა

ტაივანში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ახალი პრეზიდენტის, ცაი ინვიანის ინაუგურაცია. ახალი პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას უკვე ოფიციალურად შეუდგა.

ცაი ინვიანი ტაივანის დემოკრატიული პარტიის ლიდერია. ის პირველი ქალია, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# მოგერინი: „რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გაგრძელდება“



ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ ასრულებს. შედეგად დონბასში მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. შეტაკებები არ წყდება, იღუპებიან ადამიანები.

— რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გაგრძელდება, — თქვა მოგერინიმ.

რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა პესკოვმა მოგერინის გამოსვლას უპასუხისმგებლო უწოდა. პესკოვმა აღნიშნა, რომ ამ სანქციების შედეგად ყველაზე მეტად იტალია ზარალდება.

— საოცარია, რომ იტალიელი მოგერინი სანქციების გაგრძელებით კმაყოფილია, — თქვა პესკოვმა.

მოგერინის განცხადებას უკიდურესად ნეგატიურად შეხვდნენ რუსეთის სახელმწიფო დუმაში. საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვმა განაცხადა:

— მინსკის შეთანხმებები უკრაინის გამო არ სრულდება. ევროკავშირი თავისი მოქმედებით ჩვენც და საკუთარ თავსაც კიევის მძევლად აქცევს.

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# სერხიო ბუსკეტსი ბარსელონადან არ წავა



ბარსელონას საყრდენი ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი მალე ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ბარსელონაში რჩება.

ბუსკეტსის შეძენით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული, განსაკუთრებით კი პსჟ აქტიურობდა, რომელიც მზად იყო, ამ ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ ბარსელონამ ყველა გუნდი უარით გაისტუმრა.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, ბუსკეტსი ბარსელონას ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება და წელიწადში 15 მილიონ ევროს მიიღებს.

სერხიო ბარსელონაში 2008 წლიდან თამაშობს და კატალონიური გუნდის ლიდერად ითვლება. ბარსელონასთან ერთად ბუსკეტსი სამჯერ გახდა ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი.

# ლიოვმა გიოტცეს ლივერპულში გადასვლა ურჩია



გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა მარიო გიოტცეს ბაიერნის დატოვება და ახალი გუნდის მოძებნა ურჩია.

ლიოვის აზრით, მარიოს უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რასაც ის ბაიერნში ვერ იღებს. ამის გამო შესაძლებელია, რომ გიოტცეს პოზიციები ნაკრებშიც შეირყეს.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მარიოს ყიდვა ლივერპულს სურს და, ლიოვის აზრით, გიოტცემ კარიერა ლივერპულში უნდა გააგრძელოს.

ლივერპულის ამჟამინდელი მწვრთნელი იურგენ კლოპი გიოტცეს კარგად იცნობს, რადგან ისინი ერთად მუშაობდნენ დორტმუნდის ბორუსიაში.

ბაიერნი ასევე დაინტერესებულია გიოტცეს წასვლით, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს ტრანსფერში შედგება.

# დავიდ ჟინოლას გულის შეტევა მოუვიდა



საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს დავიდ ჟინოლას უსიამოვნო რამ შეემთხვა. ფეხბურთის თამაშის დროს მან თავი შეუძლოდ იგრძნო, რის შემდეგაც საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, ჟინოლას გულის შეტევა ჰქონდა, თუმცა მისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა და ამჟამად ყოფილი ფეხბურთელი კონტაქტურია, ხოლო მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ჟინოლა 90-იან წლებში პსჟ-ს ღირსებას იცავდა, ხოლო შემდეგ კი ის ნიუკასლში გადავიდა. ჟინოლას სხვა ინგლისურ გუნდებშიც აქვს ნათამაშევი, ხოლო რაც შეეხება ნაკრებს, ჟინოლამ ნაკრების მაისურით 17 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლის გატანა შეძლო.

# ტოტიმ რომასთან კონტრაქტი შეათანხმა



ფრანჩესკო ტოტიმ თავის საფეხბურთო კარიერასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე დღეში ის რომასთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, მომავალი სეზონის ბოლოს კი გამოსამშვიდობებელ შეხვედრას ჩაატარებს და საფეხბურთო კარიერასაც დაასრულებს.

ტოტი ამჟამად 39 წლის არის და მისი ასაკისთვის ის საუცხოო ფორმაშია. ბოლო შეხვედრებში ფრანჩესკომ რომასთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ტოტიმ მთელი თავისი კარიერა რომაში გაატარა და დამსახურებულად ითვლება ამ გუნდის ლეგენდად.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ვლადიმირ ვაისის გამოძახებულთა შორის 3 ახალწვეულია



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა 25-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ეროვნულ გუნდს უახლოეს დღეებში რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. ამიტომაც ვაისის შეგირდები 24 მაისს ავსტრიულ შეკრებაზე მიემგზავრებიან და ლინცთან ახლოს დაბინავდებიან.

27 მაისს ნაკრები ქალაქ ველსში სლოვაკეთს დაუპირისპირდება, 3 ივნისს ბუქარესტში რუმინეთის ეროვნულ ნაკრებს შეხვდება, ხოლო 7 ივნისს მადრიდში ვაისის გაწვრთნილი გუნდი ესპანეთის ნაკრებთან ისპარინგებს. აღსანიშნავია, რომ სამივე მეტოქე ევროპის 2016 წლის ჩემპიონატისთვის ემზადება.

ვაისის შერჩეულ ფეხბურთელთა შორის 3 ახალწვეულია: პირველად მოირგებს ეროვნული გუნდის მაისურს ჩეხური ტეპლიცეს მცველი, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებული ზურაბ ცისკარიძე. ნაკრებში პირველად გამოიძახეს თბილისის დინამოს ფეხბურთელები – ვახტანგ ჭანტურიშვილი და ჯამბულ ჯიღაური.

ვაისს ტრავმის გამო რუსული კრილია სოვეტოვის მეკარე გიორგი ლორია ვერ დაეხმარება. რაც შეეხება ესპანური ხიმნასტიკის ნახევარმცველ გიორგი აბურჯანიასა და გერმანული დუისბურგის თავდამსხმელ გიორგი ჭანტურიას, მათ კლუბებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ელით იქაური ჩემპიონატების პლეი ოფებში. ამიტომ ფეხბურთელები, ფედერაციასთან შეთანხმებით, ნაკრებს სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ შეუერთდებიან.

ვლადიმირ ვაისმა ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (მორდოვია, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (ფეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი, უჩა ლობჟანიძე, ოთარ კაკაბაძე (ყველა დინამო თბ), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ინტერი, აზერბაიჯანი), გიორგი აბურჯანია (ხიმნასტიკი, ესპანეთი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე (დნიპრო, უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი (ესკიშეჰირსპორი, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური, ვახტანგ ჭანტურიშვილი (ორივე დინამო თბ);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ქვილითაია (დინამო თბ), გიორგი ჭანტურია (დუისბურგი, გერმანია).

21 მაისს, 15 საათზე, სასტუმრო ჰუალინგში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ვლადიმირ ვაისი, ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს.

# ზაზა ნადირაძე 35-ე ლიცენზიანტია



22 წლის მცხეთელმა ნიჩბოსანმა ზაზა ნადირაძემ საქართველოს 31-ე ოლიმპიური თამაშების 35-ე ლიცენზია მოუპოვა.

ეს ამბავი გერმანიის ქალაქ დუისბურგში გამართულ ბოლო კონტინენტურ საკვალიფიკაციო ოლიმპიურ ტურნირზე გადაწყდა. ერთადგილიანი კანოეთი 200 მ დისტანციაზე ლიცენზიის მოსაპოვებლად სულ 14 სპორტსმენი იბრძოდა, ოლიმპიადის საგზურს კი პირველი-მეორე ადგილები იძლეოდა. შესარჩევ ეტაპზე ზაზამ დისტანცია 39.038 წამში დაფარა და მეორე შედეგით ფინალურ ჯგუფში მოხვდა, 9-კაციან ფინალში კი ასევე მეორე შედეგი აჩვენა (40.013) და გამარჯვებულ ესპანელ ალფონსო ბენავიდესთან (39.245) ერთად რიოს საგზური გაინაღდა.

ზაზა ნადირაძე 1993 წლის 2 სექტემბერს დაიბადა. 2014 წელს უნგრეთში გამართულ 23-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს ნიჩბოსანთა საუკეთესო შედეგია. ნადირაძე პირველი ქართველი ნიჩბოსანი იქნება, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვა. თუმცა, ის არ იქნება პირველი ქართველი რომელიც ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ 1972 წელს, მიუნხენში სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში ორადგილიანი ბაიდარით (ბელარუს ნიკოლაი გორბაჩოვთან ერთად) ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ფოთელი ვიქტორ კრატასიუკი. იმავე ოლიმპიადაზე ნიჩბოსნურ სლალომში 31-ე ადგილზე გავიდა მცხეთელი გიორგი ნასყიდაშვილი.

იმედი გვაქვს, რომ ოლიმპიელთა რიგები კიდევ შეივსება. მაის-ივნისში სოფია და ბაქო უმასპინძლებენ მოკრივეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირებს, მაის-ივნისში კი ნოტინგემსა და ანტალიაში დარჩენილი ოლიმპიური ადგილებისთვის იბრძოლებენ მშვილდოსნები. გარდა ამისა, ოლიმპიადაზე მოხვედრის მეტ-ნაკლები შანსი აქვს ჩვენს 3-4 მძლეოსანს, აგრეთვე ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს.

დამოუკიდებლობის წლებში ყველაზე მეტი – 36-36 ოლიმპიელი გვყავდა ატლანტასა (1996) და სიდნეიში (2000), ყველაზე ნაკლები ათენში (2004) – 33 სპორტსმენი.

# ვალერიან გვილია: „მადლობა უკრაინას, მაგრამ სამშობლო ერთადერთია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ახალგაზრდულ გუნდში, დუბლებში, შემდეგ უმაღლეს ლიგაშიც. ამან ცხოვრება გამიადვილა და უკვე შემეძლო, თამაშით დამემტკიცებინა ოსტატობა.

***– და უკრაინის 21-წლამდელთა ნაკრებშიც გამოგიძახეს.***

– დიახ, 4 მატჩი ჩავატარე ვალერი ლობანოვსკის მემორიალზე, თუმცა საქართველოს სახელით თამაში მსურდა და ამას არც მაშინ ვმალავდი. როგორც ღმერთია ერთი, ასეა სამშობლოც. ისე მოხდა, რომ სწორედ უკრაინის წინააღმდეგ შედგა ჩემი დებიუტი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში. ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ილიმებოდნენ და მილოცავდნენ, ოცნება აიხდინეო. რა თქმა უნდა, უკრაინას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ საქართველო ჩემი სამშობლოა და სწორედ სამშობლოს ვაყენებ პირველ ადგილზე.

***– მსგავსი სიტუაცია არტიომ მილევსკის შეემთხვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბელორუსიის ნაკრებს უკრაინის ამჯობინა. ამის გამო მას ბევრი მოღალატეს ეძახდა.***

– ყველა ადამიანი თავად ირჩევს გზას. ეს მისი გადაწყვეტილებაა, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ და დავაფასოთ. მე გავაკეთე ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვალე, არტიომმა – თავისებურად. მით უფრო, რომ თავის დროზე მილევსკი ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, პერსპექტიული და მაღალ დონეზეც ითამაშა.

***– ზამთარში შეგეძლოთ, პორტუგალიის ჩემპიონატში მოხვედრილიყავით, მაგრამ საბოლოოდ მინსკში აღმოჩნდით. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სათადარიგო ვარიანტი იყო?***

– იყო რამდენიმე წინადადება, მაგრამ ახლა არ მინდა, ამ თემას დავუბრუნდე. ახლა მინსკში ვარ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ამ გუნდთან ერთად მივაღწიო წარმატებას – შევასრულოთ დასახული ამოცანები და ვიბრძოლოთ ევროსაგზურისთვის.

***– გული გწყდებათ, რომ პორტუგალიაში ვერ გაემგზავრეთ სათამაშოდ?***

– რას ვიზამთ. არ გამოვიდა. ალბათ, ასე იყო საჭირო. ცხოვრება ბევრ რამეს შემოგთავაზებს, რომელიც უნდა გადალახო. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იარო და, თუ მიზნისკენ სწორად წახვალ, ყველაფერს მიაღწევ.

***– მინსკამდე უკრაინაში, კერძოდ კი ზაპოროჟიეს მეტალურგში თამაშობდით. იქ როგორ მოხვდით?***

– მეტალურგამდე ხარკოვის მეტალისტის საბავშვო აკადემიაში ვიყავი, შემდეგ კი ზაპოროჟიეში გადავედი. ამ გუნდთან ერთად თითქმის ყველა საფეხური გავიარე და დიდ გუნდამდე მივედი. ზაპოროჟიე საფეხბურთო ქალაქია და ყველაფერი კარგი აქვთ: სტადიონი, ბაზა, გულშემატკივრები... ფეხბურთელად განვითარებისთვის ყველა შესაძლებლობაა. თუმცა, გუნდი გაკოტრების წინაშე დადგა, ან ქალაქის ხელმძღვანელობამ არ მოინდომა დახმარებოდა, ან რამე სხვა მიზეზი იყო. 2014 დებიუტი მქონდა, მომავალ წელს სეზონი სრულად ჩავატარე, შემოდგომაზე კი გუნდი ლიკვიდირებულ იქნა და ფეხბურთელებიც გაგვიშვეს. ცუდია, რომ ასე მოხდა – ზაპოროჟიემ ბევრი რამ მომცა და ყოველთვის ჩემს გულში დარჩება.

***– უკრაინულ და ბელორუსულ ფეხბურთს როგორ შეადარებთ?***

– უკრაინაში უფრო დიდი სტადიონებია და მაყურებელიც ბლომად დადის. თუმცა, მინსკშიც შესაძლოა გაიზარდო ფეხბურთელად – აქ ყველაფერი გვაქვს საამისოდ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 23 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 "რა სურთ ქალებს" 12.30 "ხაზის რადიო" 13.15 ხალხური მუსიკა "ჩაკრულო" 14.00 "მოამბე" 14.10 "თეატრალური შეხვედრები" 14.50 რადიოთეატრი 13.30 "ხაზის რადიო" 16.45 "ეკონომეტრი" 17.05 კლასიკური მუსიკა 19.00 "ხაზის რადიო" 19.25 "ოქროს ფონდი" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "მუსიკალური შეხვედრები" 00.10 "კომუნიკატორი" 01.20 მხ/ფ **"მერკური საფრთხეშია"** (ა.ბოლდუინი) 03.10 "პირადი ექიმი"

